სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 3 ივლისი 2003 №122 (1893) | ფასი 50 თეთრი



REUTERS მადრიდიდან

ამ კაცის ყველაფერი ჩხრიალებს

პოპპარსკვლავ დევიდ ბექემის გალა-კონცერტი მადრიდში

მოგვიტევეთ, თუ წინდაუხედაობით დევიდ ბექემის თაყვანისმცემლებს გავანაწყენებთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ფიგუც, ზიდანიც და რონალდოც ბექემზე უკეთესი ფეხბურთელები გვგონია.

ახლა კი ფიგუს, ზიდანის და რონალდოს თაყვანისმცემლებს მოვუბოდიშებთ და ვიტყვით, რომ არც ერთი მათგანის მადრიდში ჩასვლას ისეთი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, როგორიც ბექემისას.

ხოლო აჟიოტაჟიდან ფულის გამოდნობა მძლეთამძლე კაპიტალისტებს არ ესწავლებათ.

არც დევიდ ბექემს ესწავლება ეს ფრიად სასიამოვნო საქმე. არა, სხვა ფეხბურთელებსაც არ ესწავლებათ, მაგრამ ამ უნარით ბექემმა ყველა დაჩრდილა — სხვათა შორის, ფიგუ, ზიდანი და რონალდო ერთად აღებულიც.

მეტი რა მაგალითი გინდათ: ბექემს სინჯარიანი ექიმები მიადგნენ და შარდი იმას ჩაუჩხრიალა, ვინც მეტი ფული გადაიხადა.

შარდის ჩაჩხრიალებას არა, მაგრამ მისი სამედიცინო შემოწმების სხვა დეტალებს მთელი მადრიდი ტელევიზიით პირდაპირ ეთერშიც უყურებდა.

და ასეთი მაგალითების მოტანა გაუთავებლად შეიძლება.

ბექემი მადრიდში იმ კომპანიის თვითმფრინავით ჩაფრინდა, რომელმაც ბილეთის ფული კი არ გადაახდევინა, იქით დაჰპირდა ერთი წელი აქეთ-იქით მუქთად ტარებას.

ბექემმა სასტუმროში მოსვენება მოინდომა და მთელი სართული დაუთმეს.

კმარა, თორემ უბრალო მოკვდავთ შეიძლება გულები გაგვისკდეს და ბექემიანი „რეალის“ თამაშები ვეღარ ვნახოთ.

ბოლოს კი ბექემზე ერთ ისეთ ცნობას მოგაწვდით, რომელიც გულს ნაღდად არ გაგიხეთქავთ: „რეალში“ მას 23-ნომრიანი მაისურა ერგო.

REUTERS მადრიდიდან

ვიქტორია ბექემმა მადრიდს გული გადაუშალა

თვრამეტი წლის ბიჭებს კოპალეიშვილი მოუვლის



ვახტანგ კოპალეიშვილი

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა გადაწყვეტილებით თვრამეტწლამდელთა, ანუ 1986 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრები ვახტანგ კოპალეიშვილს ჩაბარდა. ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს გაისად ითამაშებს, ხოლო მეტოქეებს წილისყრა იანვარში გამოუვლენს.

კოპალეიშვილს თვრამეტწლამდელები ადრეც და თანაც წარმატებით გაუწვრთნია. მისი თავკაცობით „კოპალას ბიჭებად" მონათლულმა გუნდმა ჯერ პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები მოიგო, ხოლო მერე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპსაც უწია.

ნაკრების ახალდანიშნული თავკაცი სასელექციო სამუშაოების ჩატარებას ივლის-აგვისტოში აპირებს. მართალია, ნაკრების რამდენიმე კანდიდატი უკვე შერჩეულია, მაგრამ ზუგდიდში, ხობსა და ფოთში საინტერესო მოთამაშეები გვეგულება და შანსი მათაც მიეცემათო, გვითხრა კოპალეიშვილმა.

მოგვიანებით, ჩემპიონატი რომ დაიწყება, სანაკრებოდ კანდიდატების შერჩევა მწვრთნელს უფრო გაუიოლდება. ვახტანგ კოპალეიშვილს სამწვრთნელო შტაბი ჯერჯერობით არ დაუსახელებია, ამას უშუალოდ აღმასკომის მომავალ სხდომაზე გააკეთებს, სადაც ყველას ერთად დაამტკიცებენ და ერთი წელიწადიც თვალსა და ხელს შუა გაფრინდება. კოპალეიშვილის და მისი გუნდის ნაღვაწი კი უშუალოდ მეტოქეებთან პაექრობისას შეფასდება.

მამუკა კვანტალიანი

მახარაძემ სიონი გამოფინა

ბოლნისელები რომ საგულდაგულოდ ემზადებიან სლოვაკური „ჰუხოვის" დასახვედრად, ადრეც გაუწყეთ. საგულდაგულოდ ემზადება „სიონის" მწვრთნელი თემურ მახარაძეც, მეტიც, იგი დიდ გაწამაწიაშია. როგორია, გუნდმა უეფას თასის საგზური მოიპოვოს და მერე შემდგენლობა შეიცვალოს. მწვრთნელს ფეხბურთელები თავად არ გაუშვია, მათ საკუთარი სურვილით დატოვეს „სიონი". შემტევი ნახევარმცველი ლევან შავგულიძე ამჟამად „ლოკომოტივში" ვარჯიშობს, მცველ რამაზ სვანაძეს ფოთის „კოლხეთში" სურს დაბრუნება, განაპირა ჰავბეკი ელდარ გვასალია ყაზახეთში გაემგზავრა და ამ შუაზიური ქვეყნის ჩემპიონ გუნდში აპირებს მოწყობას. „სიონს" გაეცალა ჩია ნახევარმცველი დავით დათვაძეც. მეკარე ზურაბ ბათიაშვილს კი ვერ გადაუწყვეტია, დარჩეს თუ წავიდეს გუნდიდან. მცველმა სანდრო ბურნაძემ კი წასვლა გადაიფიქრა და გუნდში რჩება.

ჰოდა, თავად განსაჯეთ, ახლა რაოდენ დიდი საფიქრალი აქვს მახარაძეს — წასულებს შემცვლელი უნდა გამოუძებნოს. ევროთასზე ღირსეული და გამართული თამაშია საჭირო.

„სიონში" თამაშის ბევრი მსურველი მიადგა მახარაძეს. მწვრთნელიც გულდასმით აკვირდება თითოეულ მოთამაშეს. გუშინ კი ახალწვეულები საქმეშიც ნახა. „ნორჩი დინამოელის" ბალახისსაფარიან მოედანზე „სიონი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „მცხეთას" გაეჯიბრა და 2:0 დაამარცხა მეტოქე. ბოლნისელთა თავკაცმა ყველა გამოსცადა. ზოგით კმაყოფილი დარჩა, ზოგითაც უკმაყოფილო. ახლებიდან მხოლოდ კიპროსმოვლილ გიორგი შენგელიას არ უთამაშია, მას მცირე ტრავმა აწუხებს.

ვალტერ გუჩუა, დავით ჭიჭვეიშვილი, ბორის გონჩაროვი, გიორგი მანწკავა, სანდრო ჩივაძე, ზაზა კვეკვესკირი, გიორგი გაბიდაური, დავით ზაზაშვილი, ბესიკ შენგელია, კოტე დარსანია და ლაშა სილაგაძე — ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც თავიანთი სურვილით მივიდნენ „სიონში". გუშინ ყველამ ითამაშა. თემურ მახარაძემ 3-5-1-1 ტაქტიკური სქემით ათამაშა შეგირდები. ორივე გოლი პირველ ნახევარში გავიდა, ჯერ სანდრო ჩივაძემ გამოიჩინა თავი, როცა იური გაბისკირიას ჯარიმიდან ძლიერად დარტყმულს და მერე მეკარისგან უკუგდებულს ფეხი დაუხვედრა, მეორედ კი „მცხეთის" კარის დარაჯთან პირისპირ შეყრილმა გონჩაროვმა იხეირა.

თემურ მახარაძის სამწყსოში პირტიტველ ბიჭებიც არიან, ისინი გასასინჯად მივიდნენ და მწვრთნელმაც გუშინ ორ მათგანს მისცა შანსი.

ბოლოს „სიონის" პატრონს, ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძეს გამოველაპარაკეთ, ვემზადებით დიდი მონდომებით და გუნდსაც ვაძლიერებთ, იმედი მაქვს, სლოვაკებს დიდ წინაღმდეგობას გავუწევთ და ბევრ პრობლემებს შევუქმნითო.

გიორგი ვაზაკიძე

„სიონთან" უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მცხეთამ" მთავარი მწვრთნელის გარეშე ითამაშა. თემურ ჩხაიძე პირადი პრობლემების გამო აკლდა გუნდს. ახალგაზრდა მცხეთელები ჩხაიძის თანაშემწე რეზო მგელაძემ დამოძღვრა.

გუშინ მისი შეგირდები ბევრს კი ცდილობდნენ, მაგრამ კლასით ერთი თავით მაღლა მდგომ და გამოცდილ ბოლნისელებთან ვერაფერი გააწყვეს.

როგორი გუნდია „მცხეთა"? რას ისახავენ მიზნად დებიუტანტები? ამ კითხვებით მივმართეთ მატჩის შემდეგ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ვიტალი გრძელიშვილს. ბატონმა ვიტალიმ, ენაწყლიანმა მოსაუბრემ, ჟურნალისტებსაც გადაგვიხადა მადლობა, თანადგომასა და ყურადღებას არ გვაკლებთო...

მცხეთა ბევრს ემცხეთება

გუცაევი მოსკოვიდან სიტყვას ჩამოიტანს

— **გუნდი 16 ივნისს შეიკრიბა. მზადება მცხეთაში დავიწყეთ. გუნდიდან არავინ წასულა. მხოლოდ თურქები დაგვეთხოვნენ. ისინი თავიანთ კლუბ „იზმითში" დაბრუნდნენ, თუმც ჩვენთან კონტრაქტები აკავშირებთ. გადაგვიხადონ საკომპენსაციო თანხა და თურქებს უპრობლემოდ გავუშვებთ, სატრანსფერო ფურცელს არავის დავამადლით.**

— **ახალწვეულები გყავთ? დღეს თავდამსხმელმა ბექა ნოზაძემ ითამაშა. მისი საკითხი გადაწყვეტილია?**

— ჩვენი ერთადერთი ახალწვეული თავდამსხმელი რეზო გოცირიძეა. იცით, იგი „ვიტ ჯორჯიაში", თსუში და რუსთავის „ფორდში" თამაშობდა. ერთხანს გერმანიაშიც იყო. მასთან კონტრაქტი უკვე გავაფორმეთ. რაც შეეხება ნოზაძეს, ბექა თავისი სურვილით მოვიდა ჩვენთან. ახლა ყველაფერი მწვრთნელებზეა დამოკიდებული. თუ მან თავი მოაწონა, ხელშეკრულებასაც გავუფორმებთ. იმედი მაქვს, ბექა „მცხეთაში" დარჩება.

— **უმაღლესი ლიგა პირველისგან რომ განსხვავდება, ცხადია. მხოლოდ გოცირიძით და ნოზაძით გაძლიერება ალბათ არ დაგაკმაყოფილებთ. ვინმე გყავთ კიდევ შეგულებული?**

— კლუბის პრეზიდენტი ვლადიმერ გუცაევი ახლა მოსკოვშია პირადი საქმეების მოსაგვარებლად. იგი მალე ჩამოვა და სასურველ ფეხბურთელებსაც მოვიწვევთ. რაღა დარჩა ჩემპიონატის დაწყებამდე? ბევრიც არაფერი, გუნდი კი დასაკომპლექტებელია. გასარკვევია მწვრთნელის საკითხიც.

— **უშვებთ თემურ ჩხაიძეს?**

— არა მგონია. ჩვენი სურვილია, „მცხეთა" კვლავაც მან გაწვრთნას. გუნდმა მისი თავკაცობით მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური და მისი გაშვება ჩვენგან უმადურობა იქნება. უბრალოდ, დაველაპარაკებით თემურს. შეიძლება, თავად არ ჰქონდეს მუშაობის სურვილი. ვნახოთ, გუცაევი ჩამოვა და ყველაფერს მოვაგვარებთ.

— **დღესდღეობით რამდენი ფეხბურთელია გუნდში?**

— „მცხეთაში" 25 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათი საშუალო ასაკი კი 22 წელია. უმაღლეს ლიგაში წლეულს ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჩვენ გვეყოლება.

— **და მაინც, როგორ ფიქრობთ, გუნდი უფრო რომელ რგოლში საჭიროებს გაძლიერებას?**

— დაცვაში გვიჭირს. ფაქტობრივად, განაპირა უკანახაზელები არ გვყავს. ამ მხრივ ძალიან დიდი დეფიციტი გვაქვს. უფრო ძლიერი და მობილური შუა ხაზია. თავდასხმაში კი გოცირიძის მოსვლით ძალიან გვეიმედება. რეზო უაღრესად ნიჭიერი და სასარგებლო მოთამაშეა.

— **დებიუტანტები ხართ. ცხადია, გუნდის მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება...**

— რა თქმა უნდა. საწყის ტურებში ძლიერ მეტოქეებს ვხვდებით. მათთან თამაშები გვიჩვენებს, რამდენად შეგვწევს ძალა ლიგაში დასარჩენად. ერთი კია, შინ, „არმაზზე", მეტოქეებს დიდ პრობლემებს შევუქმნით.

გიორგი ვაზაკიძე

ალექს რეხა

რეხვიაშვილმა გვარ-სახელი შეიცვალა

30 ივნისს მოსკოვში პირველად გათამაშდა „როსტელეკომის თასი". საქველმოქმედო მატჩ-შოუში რუსეთის ნაკრებმა 5:2 დაამარცხა პრემიერლიგის ლეგიონერთა ნაკრები. რუსი ჟურნალისტების აზრით, უცხოელები მეტოქეზე შედარებით სოლიდურად გამოიყურებოდნენ და მათი დიდი ანგარიშით მარცხი ვენიამინ მანდრიკინის უშეცდომო თამაშმა უფრო განაპირობა. რუსეთის ნაკრების მეკარემ რამდენიმე „აულებელი" დარტყმა გააუვნებლა.

იდილია მანდრიკინს პირველად ალექსანდრე რეხვიაშვილმა დაურღვია — მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა „ტორპედო-მეტალურგის" ქართველმა ნახევარმცველმა მარცხენა ფეხით შანსი არ დაუტოვა. გოლი ისეთი ლამაზი გამოდგა, რომ რეხვიაშვილს რუსი გულშემატკივრის ხანგრძლივი ოვაცია ერგო. „რეხას" (ასე ეძახიან რეხვიაშვილს რუსეთში) გოლით ანგარიში 1:5 გახდა რუსთა სასარგებლოდ.

საინტერესოა ისიც, რომ მოედანზე რეხვიაშვილის გამოჩენისას სტადიონის დიქტორმა ის ალექსად მოიხსენია. „როცა ჩემი ახალი სახელი გავიგონე, მაშინვე ვიგრძენი, რომ მართლაც ლეგიონერი ვიყავი" — გაეხუმრა ნამატჩევს ალექსანდრე რეხვიაშვილი რუს ჟურნალისტებს.

დიქტორმა შეცდომა ჩვენებურის გოლის შემდეგ გამოასწორა: „გოლ ზაბილ ალექსანდრ რეხვიაშვილი"...

მატჩის შემდეგ „რეხვომ" ბლომად ავტოგრაფები დაარიგა და ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა:

— საინტერესო მატჩი იყო. ძალიან მომეწონა. იმედი მაქვს, მაყურებელსაც ვასიამოვნეთ.

— **თქვენ ხისტ ფეხბურთელად გიცნობთ...**

— ეს ხომ მხოლოდ შოუ იყო. ჩვენ ჯერ კიდევ გასახდელში გაგვფრთხილეს, უხეშად არ გვეთამაშა.

— **კმაყოფილი ხართ, რომ გოლი გაიტანეთ?**

— რა თქმა უნდა. თუმც გოლის გატანა ჩემი უმთავრესი მიზანი არაა. მთავარია, გუნდმა მოიგოს და არა აქვს მნიშვნელობა, გავიტან თუ საერთოდ დაცვაში ვითამაშებ. ყველაზე ლამაზი და დასამახსოვრებელი ტაბლოზე გამოსახული ანგარიშია.

ბახა შალამბერიძე

შვედეთი
XII ტური
სუნდსვალი 1:1 იოსტერი
იორგრიტე 3:1 ჰალმსტადი

ფინეთი
XI ტური
აილიანსია 3:0 ჰაამეენლინა

„ვიტ ჯორჯიას“ ახალი თავკაცი ჰყავს – ზურაბ ბერიძე. მას თავის დროზე, ცხადია ფეხბურთიც უთამაშია, მაძღარი ცხოვრებაც უნახავს და გაჭირვებაც გამოუცდია. დროებამ მებრძოლ ადამიანად ჩამოაყალიბა. მუდამ უმნიშვნელო საქმიდან იწყებდა და რამდენიმე ხანში საპასუხისმგებლო თანამდებობას იბარებდა.

ასე იყო სამი წლის წინაც, როცა „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა ფარმაცევტების მწვრთნელად დანიშნა. გამოხდა ხანი და გურამ რუხაძემ ბერიძეს მთავარი გუნდი ჩააბარა.

მან იცის, რა არის ნამდვილი ომი, პირველი დღიდანვე იბრძოდა აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისთვის. ომმა შიშს გაუუცხოვა, ბრძოლას შეაჩვია, ამიტომაც იცნობენ ზურაბ ბერიძეს ბედთან შეურიგებელ ადამიანად



ახალი მწვრთნელი ძველი სამეგობროდან

ბერიძე ბრიტანულად იბრძოლებს და ფლანგებიდან შეუტევს

— „ვიტ ჯორჯია“ მუდამ მაღალ მიზნებს ისახავს, ამბიციებიც სულ უფრო მზარდი აქვს. ბევრი თქვენს ადგილზე დაფიქრდებოდა და იქნებ პირველკაცობაზე უარიც ეთქვა.

— მე ზედმეტი ტვირთის ტარებას არასდროს გავქცევივარ. კლუბის თავკაცთან მეგობრობა მაკავშირებს და ეს ურთიერთობა გუშინ არ დაწყებულა. მენდნენ და უარის თქმის უფლება არ მქონდა. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას წამითაც არ მიყოყმანია.

— მაგრამ გუნდში მთავარმწვრთნელობა იმაზე გაცილებით მეტს ნიშნავს და მოითხოვს, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

— მზად ვარ, ყველა წაფორხილებაზე პირადად ვაგო პასუხი, ყველა გამარჯვება კი გუნდის დამსახურებად მოვნათლო. ჩვენ, მთელი „ვიტ ჯორჯია“, ერთად შევძლებთ მიზნის მიღწევას.

— ხელმძღვანელებმა რა დაგისახეს მიზნად და მათგან სანაცვლოდ რა მოითხოვეთ?

— კონკრეტულ პირობებზე ჯერ არ გვილაპარაკია. ყველაფერი მოულოდნელად გადაწყდა, გუნდიც 5 ივლისამდე შვებულებაშია, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრა მოგვიანებით შედგება.

— კარნევალის თანაშემწეობისას ფეხბურთელებთან უფრო ახლოს თქვენ იყავით. ისინიც უფრო გახსნილად ბერიძესთან იყვნენ და რასაც იტალიელს უმალავდნენ, თქვენთან აღიარებდნენ. მოთამაშეებთან ასეთი დამოკიდებულება ხელს არ შეგიშლით?

— მე მათ შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი. მოედანზე თუ მის გარეთ მათი ინტერესების დამცველი გახლდით და არც ამიერიდან ვაპირებ ასეთი ურთიერთობების მოშლას. თუმც გუნდთან გასაუბრება მაინც მომიწევს. ფეხბურთელებისგან მხოლოდ შრომას და მოედანზე თავდადებას მოვითხოვ. სინიორ ჯანის დისციპლინა სათანადო დონეზე ჰქონდა აყვანილი, ქცევის წესები გამკაცრდება, თორემ არაფერი მოაკლდება.

— კარნევალი სამკაციან დაცვას ანიჭებდა უპირატესობას, ხშირად ხუთი, ზოგჯერ კი ექვსი შუახაზელით ათამაშებდა „ვიტ ჯორჯიას“. მისი სტილის მიმდევარი იქნებით თუ გუნდის სათამაშო სქემის შეცვლას აპირებთ?

— ყველა მწვრთნელი ფეხბურთს თავისებურად აღიქვამს. კარნევალისეულ „ვიტ ჯორჯიას“ არაფერს ვუწუნებ, მაგრამ თავად თამაშის ბრიტანული სტილის ტრფიალი გახლავართ. ფიზიკურად სრულყოფილი, მოქნილი და სწრაფად მოძრავი გუნდი მიტაცებს, რომელიც ფლანგურ შეტევებს ეძალება, ყველა უტევს და თავდაცვაშიც ყველა მონაწილეობს. კარნევალისეული 3-5-2 შეიძლება 4-4-2-ად გადავაკეთო. დანამდვილებით ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცი, გუნდში ვინ დარჩება და ვინ წავა.

— ეგ კიდევ ერთი პრობლემაა. არ არის გამორიცხული, საახალსეზონოდ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისოთ.

— ფეხბურთელს ძალით ვერ დაამაგრებ და მე თუ მკითხავთ, ზოგიერთი ვიტელი გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშსაც იმსახურებს. მათ ადგილზე ნიჭიერი ახალგაზრდები მოვლენ, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ გუნდის ლიდერობას იტვირთებენ.

— გაძლიერებას რომელ რგოლში ისურვებდით?

— იმ ამპლუის ფეხბურთელებს შევიმატებდი, რომლებიც საშუასეზონო პერიოდში „ვიტ ჯორჯიადან“ წავლენ.

— ესე იგი, ვიღაც-ვიღაცეების წასვლა უკვე გადაწყვეტილია.

— ამას გადაჭრით ნუ დავამტკიცებთ. ოფიციალურად „ვიტ ჯორჯიადან“ ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ გაუსხვისებიათ. ისიც არ გამორიცხოთ, კლუბმა არსებული კონტინგენტი შეინარჩუნოს.

მამუკა ძვანტალიანი

მივდივარ და მივდივარ...

კარნევალი ფეხბურთის ღმერთმა გაწირა



ბრინჯაოს მედალი და ინტერტოტოს თასის საგზური, ასეთი იყო იტალიელი ჯანი კარნევალის თითქმის სამწლიანი ვეტერინარული ნაღვაწი, რაც „ვიტ ჯორჯიას“ ან უკვე ყოფილ თავკაცს არადამაკმაყოფილებელ შედეგად შეუფასეს.

გუნდი, რომელიც თავის დროზე ვერცხლისფრად შეფერილიყო და წლეულს ჩემპიონობის ჩინებული შანსი ჰქონდა, საბოლოოდ ბრინჯაოთი ვერ გაიხარებდა. ზედიზედ სამჯერ ინტერტოტოს თასზე თამაში, რა თქმა უნდა, ევროსარბიელს მიღმა დარჩენას სჯობს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ უეფას თასზე თამაშის გემოც ახსოვდა და ესეც იტალიელის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

ჰოდა, „ვიტ ჯორჯია“ და კარნევალი გაიყარნენ კიდეც, ვეტერინარულ კლუბში იტალიური ერა დასრულდა, თუმცა ვერავინ იტყვის, სინიორ ჯანიმ ვიტელებს თავისი ხელი არ დაატყოო. გუნდი გაცილებით მოძრავი და აგრესიული გახდა, უფრო მეტად ეძალებოდა შეტევას, ვიდრე ადრე.

კარნევალი ორიოდ დღეში ბათუმს ეწვევა, იქიდან კი სამშობლოში მიემგზავრება. ვინ იცის, იქნება კიდევ დაბრუნდეს საქართველოში. ვისაც იტალიელთან ერთხელ მაინც უსაუბრია, მის მიმართ კეთილად განწყობოდა. სინიორ ჯანიმ ჟურნალისტებთან ურთიერთობის ფასიც იცის, გამარჯვებული თუ დამარცხებული, მუდამ მზად იყო, ჩვენი კითხვებისთვის ეპასუხა.

ასეთი იყო გუშინაც, ერთი შეხედვით ნაღვლიანი, მაგრამ ენერგიული. ფინჯანი ყავა, კოლოფი სიგარეტი, კარნევალის ახლო წარსული, აწმყო და მომავალი „სარბიელისთვის“ მიცემულ ჯერჯერობით ბოლო, არცთუ ხანგრძლივ ინტერვიუში ჩაეტია

— ვეტერინარული კლუბის თავკაცებსა და თქვენს შორის ერთი შეხედვით სრული ურთიერთგაგება და თანხმობა სუფევდა. როგორც ითქვა, ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე გაყრა გადაწყვიტეთ, მაგრამ მაინც საინტერესოა, წასვლის ნამდვილი მიზეზი რა იყო?

— „ვიტ ჯორჯიაში“ თითქმის სამი წელიწადი გავატარე, ეს განვითარების ერთი ეტაპია, მე უწვერული ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდი ჩავიბარე. ისინი ფაქტობრივად ჩემს თვალწინ დაკაცდნენ. რამდენიმე მათგანი ალბათ გაცილებით მაღალ დონეზე ითამაშებს. გუნდიდან წასულების ადგილს ისევ ახალგაზრდები დაიჭერენ და ნელ-ნელა ისინიც დაოსტატდებიან. ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაწყებულიყო, სადაც მე ჩემს მნიშვნელობას ვერ ვხედავდი, გუნდს ახალს ვერაფერს შევთავაზებდი.

სამი წელიწადი საკმარისი დროა, რათა კლუბის თავკაცი, მწვრთნელი და ფეხბურთელები ერთ ოჯახად გადაქცეულიყო. ამიტომ პრობლემაც არაფერი შექმნილა, პრეზიდენტს ყველაფრისთვის მადლობა მოვახსენე და კეთილი სურვილებით დავშორდით ერთმანეთს. თუმც „ვიტ ჯორჯიას“ ინტერესების დამცველი მუდამ ვიქნები. მართალია, მწვრთნელი აღარ ვარ, მაგრამ ვეცდები, ვიტელებს ამიერიდანაც დავეხმარო.

— რა გჭირდებოდათ იმისთვის, რომ სეზონის წინ დასახული მიზნისთვის მიგეღწიათ?

— მე ადრეც ვამბობდი, რომ გუნდის ბოლომდე შესაკვრელად 3 ფეხბურთელის დამატება იყო საჭირო. ეს რომ მოგვეხერხებინა, მაშინ „ვიტ ჯორჯია“ მართლაც ძალიან ძლიერი გუნდი იქნებოდა, მაგრამ მედალს მეორე მხარეც გააჩნია. კლუბს აქვს თავისი მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია, „ვიტ ჯორჯიაში“ უპირატესობას საკუთარ აღზრდილებს ანიჭებენ. საწინააღმდეგო არც მე მქონია რამე, ამიტომ ვალდებულიც ვიყავი, დასახული მიზნიდან არ გადამეხვია.

— იქნებ თქვენც გქონდათ შეცდომები?

— რა თქმა უნდა, შეცდომებიც დამიშვია. მე სულაც არ ვარ უნაკლო მწვრთნელი. ასეთები საქართველოში ჯერჯერობით არ მუშაობენ. კარნევალი საქმეს მუდამ გულით აკეთებდა, ყველასგან მაქსიმუმის გაღებას მოითხოვდა. ზოგჯერ გგონია, სწორი გადაწყვეტილება მიიღე, მაგრამ შუა თამაშში ხვდები, რომ შეცდი და ისიც იცი, რომ ვერაფერს შეცვლი. თუმც ეს უკვე წარსულია და ლაპარაკით ვერაფერს ვუშველით.

— და მაინც, თქვენს გუნდს თითქმის ბოლო ტურამდე საჩემპიონო შანსი ჰქონდა...

— „ვიტ ჯორჯიას“ ტაქტიკურად არც ერთი პრინციპული თამაში არ წაუგია. პირიქით, ხშირად ჩვენ ვფლობდით სრულ უპირატესობას, ვქმნიდით რეალურ საგოლე მომენტებს და ქარს ვატანდით. „ვიტ ჯორჯიას“ უბედურებას გამოუცდელობა და უბედობა ერქვა. საჩემპიონო შანსიც ამიტომ დავკარგეთ.

— ავსტრიულ „პაშინგთანაც“ გამოუცდელობამ დაგაღალატათ?

— უფრო საფეხბურთო ღმერთი გაგვიწყრა. „პაშინგი“ ჩვენ ყველაფერში დავჩაგრეთ, თბილისში დიდი ანგარიშით გამარჯვება შეგვეძლო, მაგრამ ურეალურესი მომენტები გავნიავეთ და დავისაჯეთ. წასაგები ავსტრიაშიც არაფერი გვჭირდა, თუმც ფეხბურთში ასეთებიც ხშირად მომხდარა.

— სამშობლოში 11 ივლისს მიემგზავრებით. მანამდე საქმიანი შეხვედრები დაგეგმეთ. არის თუ არა შანსი, აქ დარჩეთ და რომელიმე ჩვენებური კლუბი გაწვრთნათ?

— მე ძალიან შევეჩვიე საქართველოს. აქ ბევრი მეგობარიც შევიძინე და თუ შემოთავაზება მექნება, უარს ნამდვილად არ ვიტყვი. ჯერ ორ პიროვნებას უნდა შევხვდე, დველაპარაკები და იქნებ დავრჩე კიდეც.

— თუ ეს საქმე არ გამოვიდა?

— მაშინ წავალ. სერია C-ს ორი გუნდიდან უკვე მივიღე წინადადება, თუმც, სიმართლე გითხრათ, იმ გუნდებისკენ მაინცდამაინც გული არ მიმიწევს, ვიცი, ისეთი პრობლემები დამხვდება, რომ გამკლავება გამჭირდება. ალბათ, უფრო სამხრეთ ამერიკისკენ გავიხედავ. მექსიკური და პარაგვაული გუნდების ვარიანტებიც მაქვს. არ არის გამორიცხული, ერთერთ იტალიურ საფეხბურთო სკოლაში მოვეწყო. იქ ჩემი მეგობარი მუშაობს და იქ გადასვლაც მან შემომთავაზა. მოკლედ, კარნევალის სამუშაოს პოვნა არ გაუჭირდება, თუმც ჯერჯერობით დასვენება და ყველაფრის გაანალიზება მჭირდება.

მამუკა ძვანტალიანი

ამოდით მაღლა

მოდებაძე უკრაინულ ელიტაში დარჩა

ირაკლი მოდებაძე

ამაზე უკეთესს ზაპოროჟიელი გულშემატკივარი ალბათ ვერც ინატრებდა — „მეტალურგი" უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დააბრუნეს. ჩვენი ყურადღება კი ამ კლუბმა საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების თავდამსხმელის ირაკლი მოდებაძის გამო მიიპყრო. ქართველი ფეხბურთელი დაბალ ლიგაში ჯახირს ასცდა და მომავალი სეზონიდან კვლავ უკრაინის რჩეულ კლუბთა შორის ითამაშებს. სწორედ ამ ამბავმა დატოვა ირაკლი მოდებაძე ზაპოროჟიეში. როგორც ადრე ვწერდით, „მეტალურგის" პირველ ლიგაში დაქვეითების შემთხვევაში (რაც ასეც მოხდა) ჩვენებური სხვაგან გადაბარგებას ლამობდა, თუმც ახლა ზაპოროჟიელთა „შეწყალებით" გახარებულმა პრეზიდენტმა ვიქტორ მეჟეიკომ ჟურნალისტებს განუცხადა — ყველა ფეხბურთელი გუნდში რჩება. ეგ კი არა, ახალი ფეხბურთელებიც გვჭირდება და მომავალ სეზონში „მეტალურგი" გაცილებით ძლიერი იქნებაო.

ახლა კი საქმის არსზე უფრო წვრილად ვთქვათ: გუშინწინ საფეხბურთო კლუბ „ოლიქსანდრიას" ხელმძღვანელობამ კლუბის გაკოტრება ოფიციალურად აღიარა. ვალებში ჩაფლულმა „ოლიქსანდრიამ", რომელიც წინა სეზონში მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა, არსებობა შეწყვიტა. ამან კი უმაღლესი ლიგის კარი სწორედ მეთხუთმეტეადგილსან ზაპოროჟიეს „მეტალურგს" გაუღო. უკრაინის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ბიურომაც გადაწყვიტა, „ოლიქსანდრიას" ადგილი „მეტალურგისთვის" მიეცა.

— მას შემდეგ, რაც „ოლიქსანდრიამ" ჩემპიონატი დატოვა, ლოგიკური იყო, რომ ვაკანტური ადგილი ჩვენ შემოგვთავაზეს, თუმც მანამდე ამას ვერც წარმოვიდგენდი. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. უზომოდ გაიხარეს ფეხბურთელებმა და ზაპოროჟიელმა ქომაგებმაც — განაცხადა „მეტალურგის" პრეზიდენტმა.

ერთი სიტყვით, ირაკლი მოდებაძე უკვე ახალი სეზონისთვის ემზადება. მართალია, მას ტრავმის გამო წინა ჩემპიონატის ბოლო რამდენიმე ტური გაუცდა, მაგრამ ეს ახლა წარსულს ჩაბარდა.

და კიდევ, ირაკლი მოდებაძეს ორიოდ დღეა, ქართველთათვის კარგად ნაცნობი სპეციალისტი, მიხაილ ფომენკო ავარჯიშებს. ფომენკომ საქართველოში სახელი ლანჩხუთის „გურიას" მწვრთნელობით გაითქვა. მან ივო შუშაკის მეგობარ, ივან კატალინიჩის გუნდიდან წასვლის შემდეგ დაიკავა „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტი.

ძახა ზალამგერიძე

იგნატიევმა ახალკაცის დრო არ იცის



უეფას თასის პირველ ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოსა" და ფრანგული „ლანსის" ორრაუნდიანი ჯახის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი რომან ახალკაცი მოსკოვში გაფრინდება. ტორპედოელი მოსკოვის „ლოკომოტივში" გაისინჯება და თუ რკინიგზელებს თავი მოაწონა, დარჩება კიდეც

ახალკაცის „ლოკომოტივში" შესაძლო გადასვლას რკინიგზული კლუბის სპორტულმა დირექტორმა *ბორის იგნატიევმა* ასეთი კომენტარი დაურთო:

— ჩვენ ქართველი ფეხბურთელის შესაძლებლობებში დავრწმუნდებით და მის ტრანსფერზე საუბარიც ამის შემდეგ დაიწყება. სავარაუდოდ, ლაპარაკი მისი ივარის წესით აყვანაზე იქნება. „ტორპედოსთან" მოლაპარაკებას მალე დავიწყებთ. ჯერჯერობით კი ნამდვილად არ ვიცი, როდის ჩამოვა ახალკაცი მოსკოვში.

შეგახსენებთ, რომ რომან ახალკაცს ადრეც შეეძლო რუსეთში კარიერის გაგრძელება. გასულ ზამთარს „თანამეგობრობის თასზე" ქუთაისის „ტორპედოს" თამაშისას მას თვალი მოსკოვის „სპარტაკის" სელექციონერებმა დაადგეს, თუმც ეს ტრანსფერი მაშინ არ შედგა. ახლა წინ მოსკოვის „ლოკომოტივია", სადაც ამჟამად ერთი ქართველი, ისიც ყოფილი ტორპედოელი მალხაზ ასათიანი თამაშობს.

ძახა ზალამგერიძე



ვალერი ზირაქაძის ფოტო

ვალერი ზირაქაძეს 16 წლისას ჰქონდა დებიუტი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. მან ორი წელი დაჰყო ხაშურის „ივერიაში", შემდეგ კი მშობლიურ რუსთავის „მეტალურგში" გადავიდა. ზირაქაძე რუსთავში 1999 წლის ბოლომდე თამაშობდა, ნიჭიერ ნახევარმცველად ითვლებოდა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც არაერთხელ უხმეს.

ოთხი წლის წინ ზირაქაძე „ქსანტში" მოეწყო და საბერძნეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაც დააჭაშნიკა, მოგვიანებით კი ბერძენ მენეჯერ ანისტის სემერძიდისის დახმარებით უნგრეთის უმაღლესი ლიგის პირველი ქართველი ლეგიონერი გახდა. რუსთაველმა ნახევარმცველმა შარშანწინ ტატაბანიის „ლომბარდთან" გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი, ახალი გუნდის შემადგენლობაში ინტერტოტოს თასზე ითამაშა, გოლითაც გამოიჩინა თავი და მწვრთნელები ისე ემადლიერებოდნენ, ტატაბანიაში დამკვიდრება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ზირაქაძის კარიერა უილბლოდ გაგრძელდა. ქართველი კლუბის მესვეურებმა მოატყუეს, კონტრაქტის პირობები არ შეუსრულეს, მერე კი, ფაქტობრივად, უფეხბურთოდ დატოვეს. დღეს ზირაქაძის პრობლემების მოგვარებას მისი ახალი მენეჯერი პარის პროდომისი ცდილობს. ეს კაცი ამავ დროს გიორგი ქინქლაძის გერმანიაში გადასვლითაცაა დაინტერესებული და მის ტრანსფერზეც მუშაობს

ზირაქაძის გასაჭირი

ვინ დაიხსნის ლომბარდიდან ქართველს?

ვალერი ზირაქაძეს გუშინ სალონიკში შევეხმიანეთ, სადაც ერთი წელია, ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

— ცუდ სიტუაციაში ვარ. არც კი ვიცი, როგორ გადავიტანე ერთწლიანი უქმობა. საშინლად მომექცნენ უნგრელები, ლამის ფეხბურთზე ხელი ამაღებინეს, მაგრამ რა ვქნა, უბურთოდ ცხოვრება არ შემიძლია, ამიტომაც მინდა, ჩემი სიმართლე დავამტკიცო და საყვარელი საქმე ვაკეთო.

— რა მოხდა შენსა და „ლომბარდს" შორის?

— თავიდან ყველაფერი ნორმალურად იყო. თავად კლუბის პრეზიდენტი პეტერ ბირო იყო ჩემი გადაბირებით დაინტერესებული. ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა ჩემთვის ხელსაყრელი პირობებით და ხელშეკრულება გავაფორმეთ. ხელშეკრულების თანახმად, საკონტრაქტო თანხა ერთ კვირაში უნდა ამეღო, მაგრამ ერთი თვე გავიდა და ამ ფულს ვინ ჩიოდა, ხელფას-პრემიების მოცემაზეც არავინ ფიქრობდა. ჩემს დღეში იყვნენ გუნდის სხვა ლეგიონერებიც. რა უნდა მექნა? სხვა წინადადებებიც მქონდა და ტატაბანიელებს დავშორდი. გუნდის ხელმძღვანელებს დარჩენა არ დაუძალებიათ, რა ვქნათ, გვიჭირს და ნელ-ნელა როგორმე გაგისტუმრებთ დავალიანებასო.

— შეასრულეს ლომბარდელებმა პირობა?

— პირობის შესრულებას ვინ ჩივის, ფაქტობრივად, უფეხბურთოდ დამტოვეს. უნგრეთიდან ექვსი თვის წამოსული ვიყავი, საბერძნეთის მეორე ლიგელი „კავალა" რომ შემეხმიანა. სინჯების გარეშე დათანხმდნენ ჩემთან კონტრაქტის გაფორმებას და უნგრეთში ფაქი აფრინეს, ზირაქაძის გათავისუფლების ფურცელი მოგვეცითო. ლომბარდელებმა ჩემთვის გამაოგნებელი პასუხი გამოგზავნეს, ამ ფეხბურთელს ჩვენთან კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასვლია და არც ვაპირებთ მის გასხვისებასო. კავალელები დიდსულოვნად მომექცნენ, გუნდთან ვარჯიშის უფლება მომცეს, ამხანაგურ მატჩებშიც მათამაშებდნენ, თანაც უნგრელებთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— ასეთ პრობლემებს ფიფა-უეფას სატრანსფერო კომიტეტები აგვარებენ.

— არ მინდოდა ჩივილი, იმედი მქონდა, რომ „ლომბარდი" შემეშვებოდა, მაგრამ უნგრელებმა პოზიციები რომ არ დათმეს, საქმეში ჩემი ახალი მენეჯერი პარის პროდომისი ჩაერია და ადვოკატების მეშვეობით ფიფაში იჩივლა. ამ საქმის გარჩევა დღემდე გაიწელა. ტატაბანიელებთან კონტრაქტი ოფიციალურად გუშინ დამიმთავრდა და ალბათ სხვა გუნდში გადასვლის პრობლემა აღარ მექნება, მაგრამ უნგრელთა ჯიუტობამ პრინციპულობა შემმატა და დღეს მათგან საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას ვითხოვ.

— არ გიცდია, თავად დალაპარაკებოდი უნგრელებს?

— ერთი თვის წინ ტელეფონით დავუკავშირდი კლუბის პრეზიდენტ პეტერ ბიროს, მითხრა, ვერაფერსაც ვერ მოგცემთ, ძალიან გვიჭირსო.

— კონტრაქტის პირობით რამდენი უნდა გადაეხადათ ლომბარდელებს შენთვის?

— 25 ათასი დოლარი. მენეჯერი მაიმედებს, ამ ფულს ავიღებთო, თუმც ფული ამ შემთხვევაში პრინციპის ამბავია, მე უფრო ჩემი კარიერა მაღელვებს.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ სთხოვე დახმარება?

— როგორ არა, მაგრამ მაშინ საარჩევნო ციებ-ცხელება იყო და ჩემთვის არავის ეცალა. არადა, სფფ-ს ოფიციალურად რომ მოეთხოვა კონტრაქტის დამრღვევი უნგრელებისთვის ჩემი საბუთები, ასეთ დღეში არ ვიქნებოდი.

— „ლომბარდთან" თუ დაგიმთავრდა კონტრაქტი, სხვა გუნდში თამაშის პრობლემა არ გექნება, თუ გაქვს კონკრეტული წინადადებები?

— მსურველები არიან. ბერძნული მეორე ლიგის ორი გუნდი მეპატიჟება, კარიერის გაგრძელების საშუალება გერმანიასა და ავსტრიაშიც მაქვს. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. 7 ივლისს პაროს პროდომისი გერმანიიდან დაბრუნდება და ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას.

ვალერი ზირაქაძე და „ლომბარდის" პრეზიდენტი პეტერ ბირო საბედისწერო კონტრაქტის გაფორმებისას

პაატა კვანტალიანი

თავაზიანი, სიმპათიური, ცოლიანი





მადრიდმა ბექემი გაიცნო

მორჩა და გათავდა, ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი მადრიდის „რეალშია". 35 მილიონ ევროდ შეფასებული ტრანსფერი საბოლოოდ განხორციელდა — ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა: „კლინიკა დე ლა სარსუელაში" მისი ტესტირების სანახავად აივნებზე ექიმები, მედდები და ავადმყოფებიც კი გადმოეფინენ. 90-წუთიანმა პროცედურამ მადრიდის „რეალის" სატელევიზიო არხის ეთერი სწორედ ამ დროით, 90 წუთით დაიკავა და საბოლოოდ დადგინდა: ბექემი ბულასავით ჯანმრთელია



ახლა კი, სანამ სხვა ამბებზე გადავიდოდეთ, მოკლედ ვიტყვით, როგორ ჩაფრინდა ბუღა მადრიდში. ეს წინა დღით მოხდა, როდესაც კერძო თვითმფრინავმა ბექემი, მისი პოპ-ვარსკვლავი მეუღლე ვიქტორია ადამსი, ქალბატონი სანდრა ბექემი, უფროსი ვაჟი, ოთხი წლის ბრუკლინი, დაცვის შეფი და მენეჯმენტის გუნდი სამხედრო აეროდრომზე დასვა. თვითმფრინავი ეკუთვნის კომპანია „ბუკა ჯეტ აირლაინს", რომელმაც ბექემებს ესპანეთსა და ინგლისს შორის საფრენად, რეკლამის სანაცვლოდ, ერთი წლით დაუთმო ცათმფრენი.

აეროპორტიდან პოში „მელია ფენიქს ოტელისკენ" გაეშურა, სადაც ოჯახი სართულზე მარტოდ მდებარე, დღე-ღამეში 1680 ევროიან ნომერს ქირაობს. თავად დევიდი შავ „აუდიში" შეძვრა და ოთხმოტოციკლიანი პოლიციური ესკორტით ზემოხსენებული კლინიკისკენ დაიძრა — კლინიკა მადრიდის ცენტრიდან შვიდ კილომეტრშია და იმ დღეს ესპანეთისა და ინგლისის დროშებით გახლდათ მორთული.

კლინიკის შესასვლელში ბექემმა დირექტორ მარია ბურგოასა და „რეალის" ექიმ ალფონსო დელ კორალთან გადაიღო ფოტოები, ხოლო მრავლისმნახველმა ჟურნალისტებმა ბრძანეს, რომ აჟიოტაჟი ინგლისელის გარშემო, გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ზიდანის, ფიგუს ან რონალდოს გარშემო, გასულ წლებში.

შემდეგ, კლინიკის ზემოხსენებულმა დირექტორმა ბრძანა: „ის ძალიან თავაზიანი ჩანდა. აქ ბევრი პატივცემული პირი შეგვიმოწმებია თუ განგვიკურნავს, მაგრამ ბექემმა თავაზიანობით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა".

როგორც მოგახსენეთ, ბექემის ტესტირებას 90 წუთი დასჭირდა, რის შემდეგაც იგი „მელია ფენიქს ოტელში" მივიდა, თინეიჯერი გოგონების წივილ-კივილს გაუძლო, მეუღლესთან ნომერში ავიდა და იქიდან, ერთი ხნის შემდეგ, ვიქტორიას თანხლებით გამოსული, „სანტიაგო ბერნაბეუსკენ" გაეშურა. სტადიონზე ერთი საათის გატარების შემდეგ, ცოლ-ქმარი სასტუმროში დაბრუნდა, სადაც საღამოს, „რეალის" შეფებმა ვახშმად მიაკითხეს — „მელია ფენიქსის" რესტორანში დევიდ ბექემის სადღეგრძელო შეისვა.

და რა უნდა მოხდეს ამის შემდეგ? პასუხი რამდენიმეა, რომელთაგან პირველი ასეთი გახლავთ:

რობერტო კარლოსმა უნდა ამოისუნთქოს.

„როგორც იქნა, „რეალში" ორი სიმპათიური ფეხბურთელი მოგრავდა — თქვა ბრაზილიელმა — აქამდე ერთადერთი კარგი შესახედავი მე გახლდით და, მერწმუნეთ, ამდენ საძაგელს შორის ყოფნა ძალიან მიჭირს".

მეორე პასუხი: ბექემმა 23-ნომრიანი მაისურა უნდა ჩაიცვას. საბოლოოდ ასე გადაწყდა, ასე რომ, მითი მისი მარადიული მეშვიდეობის შესახებ წარსულს ჩაბარდა.

მესამე: „რეალმა" ბექემზე დახარჯული თანხა უნდა ამოიღოს. კერძოდ, უახლოეს ხანს „სამეფო გუნდი" შორეულ აღმოსავლეთის მიაშურებს, სადაც ოთხ შეხვედრაში 11,2 მილიონი ევროთი გამდიდრდება, ხოლო თუ მეხუთე თამაშიც დაინიშნება, მაშინ „რეალის" ანგარიშს ზედაც 2,8 მილიონი ევრო დაემატება. რაც შეეხება ესპანეთის ჩემპიონატს, უფრო სწორად კი „სანტიაგო ბერნაბეუს", ამბობენ, რომ მხოლოდ ამ სეზონში, ამ სარბიელზე შემოსული დამატებითი, ბექემის ფაქტორით განპირობებული ფული 1,4 მილიონი ევროს ტოლი იქნება, ხოლო TV რეალის შემოსავალი 700 ათასით იმატებს და ასე შემდეგ.

ცნობისთვის: ბექემის სამედიცინო შემოწმების ტრანსლაციამ კლუბს 350 ათასი ევრო შესძინა.

და მეოთხე: ამიერიდან „რეალმა" კიდევ უფრო მეტად უნდა გააღიზიანოს „ბარსელონა", რასაც უკვე ჩაეყარა საფუძველი. მოვუსმინოთ „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტს, სანდრო როსელის:

„ბექემი რომ ვერ ვიყიდეთ? ეს კი არა, „რეალმა" რომ შეიძინა ის მახარებს, რაც ბოლო დღეებში მას აზიური მოგზაურობა და სარეკლამო ისტორიები დამართებს, მალე გამოჩნდება. თქვენ ხომ არ იცით, მადრიდს წინ რამხელა ქაოსი ელის".

შემდეგ კი როსელიმ „მანჩესტერ იუნაიტედსაც" გადაჭრა:

„დახეთ, „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩვენმა გარიგებამ ხუან ლაპორტას არჩევნები მოაგებინა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ინგლისელები ბექემის აგენტებთან საუბრის საშუალებას არ გვაძლევდნენ. რა გამოდის? თუ ბექემის ჩვენთვის მოყიდვა მართლა ასე უნდოდათ, მაშინ „რეალისთვის" უნდა ეთქვათ, რომ მის აგენტებს ჩვენთან მართებდათ საუბარი... თან, დახეთ, როგორ დანიშნეს მწვრთნელად კარლოს კვირუში: როგორც კი „მანჩესტერმა" კვირუში დაუთმოთ, მაშინვე დაანებეს რონალდინიოს გადაბირებას თავი".

ასე რომ, ესპანეთში საინტერესო ცხოვრება ახლა იწყება.

პაპუნა კვიდია

დევიდ ბექემს „რეალის" მაისურა ალფრედო დი სტეფანომ ჩააბარა



გაიხსენეთ, მეფე!

პელემ შვედი ქალი ტაბილად მოიგონა, სპოლარი...

საფრანგეთში კონფედერაციის თასის გათამაშება დამთავრდა. მასპინძლებმა ფიფას მიერ დაწესებული ჯილდო მიჯრით მეორედ მოიგეს. ფრანგულ სტადიონებზე მატჩებს ბევრი სახელიანი ადამიანი დაესწრო. მათ შორის იყო პელეც. 45 წლის წინ ბრაზილიის ნაკრები შვედეთში მსოფლიოს ჩემპიონი პირველად გახდა და ფრანგმა ჟურნალისტებმა პელეს 1958 წლის 29 ივნისი, ფინალის დღე გაახსენეს.

მეფე, როგორც ყოველთვის, ენაწყლიანი იყო.

— ორმოცდახუთი წლის წინანდელ ტრიუმფს როგორ გაიხსენებთ?

— სიამოვნებით. თითქმის ნახევარი საუკუნე მიილია. ასე მგონია, ყველაფერი რამდენიმე საათის წინ მოხდა, არადა, უკვე შვილი, ედინო წამომეზარდა და გზა მას უნდა დავუთმო. 1958 წლის 29 ივნისი ბრაზილიის ისტორიაში ნამდვილად ოქროს დღე გახლდათ. თან, არ დავიწყდეთ, რომ ევროპაში ევროპელებს თასი სხვა კონტინენტის შვილებმა პირველად აართვეს.

— სკანდინავიაში ჩემპიონატი გამორჩეული იყო?

— პირადად ჩემთვის კი. თავს წყალში ჩაგდებული უპატრონო ლეკვივით ვგრძნობდი. ვერ მივხვდი, გარშემო რა ხდებოდა. ვერც ის გავიაზრე ბოლომდე, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობდი. სიზმარი მეგონა. თქვენ ყველაფერს ჩემს ავტობიოგრაფიულ ფილმში ნახავთ, რომლის გადაღებაც მიმდინარეობს და მალე დასრულდება. გარდა ამისა, პელეს მუზეუმიც გაიხსნება და იქ ჩემს დებიუტთან დაკავშირებულ მრავალ ექსპონატს იხილავთ.

როცა შვედურ დღეებს ვიხსენებ, მიამიტურად მეცინება. მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ პირღია დავრჩი. წარმოიდგინეთ — გაგებაში არ ვიყავი, შვედეთი სად იყო. ატლასი ვიყიდე და სკანდინავიის ქვეყნები მოვიძიე.

— ნაკრების გამოცდილ ფეხბურთელთან ურთიერთობა გაგიჭირდათ?

— მთლიანობაში არა, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, ჯერ კიდევ ბრაზილიაში ყოფნისას, შესაძლოა განზრახაც მუხლი დამიჩეჩქვეს. ჭორები გაჩნდა, რომ ჩემს ნაცვლად შვედეთში სხვა თავდამსხმელს წაიყვანდნენ. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავვარდი. ღამ-ღამობით ბალიშში თავჩარგული ვტიროდი, ღმერთს სასწაულს ვთხოვდი და მანაც შეისმინა ვედრება. ექიმმა გოსლინმა ჩემი მუხლი საბოლოოდ დაათვალიერა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა მიბრძანა. ევროპაში გამგზავრების წინა დღეს მწვრთნელმა, ფეოლამ, შემადგენლობაში ჩამწერა. ეს დაუვიწყარი, უბედნიერესი დღე იყო.

— შვედური შთაბეჭდილება?

— პირველი: ქერათმიანი ქალების აღლუმი სამუდამოდ დამამახსოვრდა. მეორე: მუხლმა თავი შემახსენა და კიბეებზე ასვლა-ჩასვლას ვერიდებოდი. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები — ავსტრია, ინგლისი და სსრკ იყვნენ. ავსტრია იოლად დავამარცხეთ, ინგლისელებთან შეხვედრა გამოვტოვე, საბჭოელებთან კი მე და გარინჩამ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშეთ. მეოთხედფინალში უელსთან ჩემი ერთადერთი გოლით, ვიმარჯვეთ ნახევარფინალში ფრანგები დავამარცხეთ, მე სამი გოლი მივითვალე და დავრწმუნდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებოდით.

— საჩემპიონო ცრემლები გახსოვთ?

— როგორ არა, ძალიან ბევრი სიხარულის ცრემლი იყო. გული კი იმაზე დამწყდა, რომ ბომბარდირი ვერ გავხდი. ჟიუსტ ფონტენის 13 გოლს ჩემი ექვსით როგორ ვაჯობებდი.

— ბოლო ხანს სასამართლოში სტუმრობა ხშირად გიწევთ. UNICEF-თან დაკავშირებულ საქმეს იძიებენ, რომელშიც გარეული აღმოჩნდით...

— ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ნერვებს აწიოკებს, მაგრამ რა ვიღონო? იძულებული ვარ, ხმამაღლა ვიმართლო თავი და ჭორები გავანადგურო. ბრაზილიის სასამართლო სისტემას და მართლმსაჯულებას ვენდობი. მსურს, ჩემი სახელი არ შეიბღალოს. საბოლოოდ ალბათ სიმართლე გაიმარჯვებს.

ისე გათავხედნენ, რომ UNICEF-ის თანხების მითვისებას მაბრალებენ. ცნობილია — ამ ორგანიზაციასთან უკვე 20 წელიწადია ვთანამშრომლობ და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ფონდის უფროსობა მიცნობს და მენდობა, მაგრამ ზოგიერთი წურბელა ამ ფონდს მიეწება და ფულს ჩემი სახელით წოვს.

— ასეთი ვითარება თქვენზე როგორ მოქმედებს?

— ჩემს ცხოვრებაში, მსგავსი არაერთხელ ყოფილა. მაგალითად, შარშანდელი გაზაფხული გაიხსენეთ, ჩემს გარდა ლუიშ ფელიპე სკოლარის ათასი კაცი აკრიტიკებდა. ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ბოლოს მაინც ჩემზე შეიწმინდეს ხელი, თითქოს მხოლოდ მე არ მჯეროდა აზიაში ბრაზილიელთა წარმატებისა.

ფიფას თხოვნით, ტოკიოში ოქროს მედლებით ბრაზილიელთა დაჯილდოების ცერემონიაზე რომ ჩავედი, ფეხბურთელები ამრეზით მიყურებდნენ. დარწმუნებული ვარ, ეს ლუიშ ფელიპე სკოლარის ხრიკებია და მოთამაშენი ჩემს წინააღმდეგ მან განაწყო. ვიმეორებ, რომ ჩემმა თანამემამულეებმა აზიაში საჩემპიონო თამაში ვერ აჩვენეს და აზრს ვერავინ შემაცვლევინებს.

შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიამ უელსი მეოთხედფინალში პელეს კინკილა გოლით დაამარცხა



კრისტიან კივუ



სამუელ ეტოო

ლიპი და აგენტები

ინტერმა ჯივუზე აღარც იფიქროს

მარჩელო ლიპი „იუვენტუსში" რჩება, არადა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხების შემდეგ თითქოს წასვლაზე ფიქრობდა.

„წასვლაზე იმედგაცრუების წამს ვთქვი და ასეთ რამეს არასდროს გავიმეორებ. დიახ, დღემდე გული მწყდება, „მილანს" რომ ვერ მოვუგეთ, რადგან თასის მოპოვება საოცრად გვწყუროდა. იმედი მაქვს, ეს მწარე წაგება სამომავლო სტიმულს მაინც მოგვცემს... მინდა გითხრათ, რომ „იუვენტუსი" ჩემი ბოლო იტალიური კლუბია. თუ სამწვრთნელო კარიერას აქ დავასრულებ, ბედნიერი ვიქნები, თუ არა და, მხოლოდ უცხოეთში გადავალ... დააკვირდით, ჩვენი პოლიტიკა სხვათაგან განსხვავებულია, ჩვენ აღიარებულ ვარსკვლავებს არ დავეძებთ. ჩვენ დავიმატეთ ახალგაზრდები, მაგალითად, ფაბრიციო მიკოლი და ნიკოლა ლეგროტალიე. ისინი უფრო ასაკოვანთ შეერწყმებიან და „იუვენტუსის" ხანგრძლივი მომავლის საფუძველს შექმნიან" — ისაუბრა ლიპიმ „პრემიო კაპო ვატიკანოს" ცერემონიაზე.

„ინტერი" კი აღიარებულ ვარსკვლავებს ყიდულობს და... ვერც ყიდულობს. მაგალითად, რუმინელი კრისტიან კივუს აგენტი, ანდრეა პრეტი აცხადებს, რომ „შავ-ლურჯებს" რაიმე ნაღდი ნაბიჯის გადასადგმელად დრო 25 ივნისამდე ჰქონდათ მიცემული, მაგრამ ვინაიდან ეს ვადა უშედეგოდ გაეიდა, ყველაფერი დასრულებულია.

საინტერესო ის არის, რომ ჭორების თანახმად, „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი პრეტის გვერდის ავლით კივუს მეორე აგენტს, მავან იოან ბეკალის შეხვედრია, მაგრამ 14,4 მილიონ ევროზე დაბლა ვერაფერი გაუხერხებია.

„ამწუთას კივუსთვის ყველაზე ლოგიკური ამსტერდამში დარჩენაა" — დასძინა პრეტიმ, რომელიც „პარმაში" მოთამაშე რუმინელის, ადრიან მუტუს წარმომადგენელიცაა:

„პარმელები მუტუს ტრანსფერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაფიქრდებიან, თუ ღირებულ წინადადებათა პაკეტს შესთავაზებენ, ასე რომ, ამ წუთას ფეხბურთელი უმალ დამრჩენი სჩანს, ვიდრე წამსვლელი, თუმცა სიტუაციები ყოველწამს იცვლება".

და კიდევ, იტალიური გუნდები ესპანურ „მალიორკას" კამერუნელი ფეხბურთელით, სამუელ ეტოოთი დაინტერესებულან, ოღონდ მალიორკელები 14 მილიონი ევროდან ფეხს არ იცვლიან.

„ვინც არ უნდა მოისურვოს ეტოოს ყიდვა, ჯიბეზე ხელის გაკვრას ვაიძულებთ, ეტოო რონალდინიოს სჯობია. დიახ, ფასი მაღალია, მაგრამ ფეხბურთელიც უმაღლესი რანგისა გახლავთ" — განაცხადა აგენტმა უილიამ მაკიმ.

ცნობისთვის, კამერუნელის ყიდვა „მილანსა" და „პარმას" სურს. თუმცა სატრანსფერო პოლიტიკის გამო მაკაი უფრო რეალურად „მილანის" ვარიანტს მიიჩნევს.

ბაბუნა ძედია



მარჩელო ლიპი

ᩩᲔᲚᲡᲘ ᩩᲣᲥᲩᲐ ᲕᲘᲚᲘᲯᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲣᲮᲢᲐᲓᲐᲜ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ? ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲘ ᲒᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲛᲐᲚᲔ ᩩᲣᲥᲩᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ, ᲘᲥᲐᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ, „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᩩᲣᲙᲝᲢᲙᲔᲚᲛᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ (ᲗᲣᲙᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ) ᲛᲝᲘᲠᲒᲝᲡ ᲓᲐ „ᲡᲢᲔᲛᲤᲝᲠᲓ ᲑᲠᲘᲯᲖᲔ“ ᲘᲔᲡᲞᲔᲠ ᲒᲠᲝᲜᲙᲘᲐᲔᲠᲡ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲣᲒᲝᲠᲝᲡ.

ᲔᲡ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ — ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᩩᲔᲚᲡᲘ ᲕᲘᲚᲘᲯᲘ“ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ. ᲔᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“, ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ-ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. „ᩩᲔᲚᲡᲘ ᲕᲘᲚᲘᲯᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ �პᲐᲙᲔᲢᲘ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲛᲐ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲣᲙᲝᲢᲙᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲣᲛᲘᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘᲐ





კენ ბეიტსმა „ᩩᲔᲚᲡᲘ“ რომან აბრამოვიჩს მიჰყიდა

„ᩩᲔᲚᲡᲘ“ აᲬ ᲣᲙᲕᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ �კᲔᲜ ᲑᲔᲘᲢᲡᲛᲐ 1982 ᲬᲔᲚᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲚᲘ, ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐᲪ ᲒᲐᲘᲡᲢᲣᲛᲠᲐ. ᲠᲝᲛᲐᲜ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗᲝ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲧᲘᲓᲔᲡ ᲩᲔᲚᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲬᲘᲚᲘ? ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘᲐ. „ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲗᲐᲜ“ ᲓᲐ „ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲗᲐᲜ“ ᲨᲔᲕᲯᲘᲑᲠᲨᲘ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲒᲠᲝᲕᲓᲐᲗ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲗ.

90-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲯᲘᲑᲔᲡᲥᲔᲚ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ. 2002-ᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ 11 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ 300 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲘᲖᲐᲠᲐᲚᲐ, ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲘ 17 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ. 2003 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲘᲓᲐᲓ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ 25 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ. ᲠᲝᲛᲐᲜ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲘᲯᲔᲠᲔᲠᲐ.

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲘᲒᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲮᲐᲣᲡᲢᲣᲚᲐ. ᲠᲣᲡᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, 50 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ. BBC-ᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘᲡ, ᲯᲔᲤ ᲠᲔᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲧᲐᲑᲣᲚᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲚᲚᲝᲔᲑᲘᲗᲘ 120 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲡ ᲣᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲡ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲭᲝᲠᲕᲔᲠᲡᲘᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛᲐᲜ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲛᲐ 140 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲫᲘᲚᲘ ᲣᲡᲣᲠᲕᲐ.

ᲗᲐᲕᲐᲓ �კᲔᲜ ᲑᲔᲘᲢᲡᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ 30 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ. ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ ᲑᲘᲠᲯᲐᲖᲔ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲛᲐ, ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ SWAN-ᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ (26 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ) ᲒᲐᲧᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲪ �კᲔᲜ ᲑᲔᲘᲢᲡᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲬᲘᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ 30 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ.

ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ 21 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲣᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ:

„ᲔᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲠᲤᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲑᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲔᲚᲘᲢᲐᲨᲘᲪ ᲒᲐᲔᲠᲘᲐ“ — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲑᲔᲘᲢᲡᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲤᲣᲠᲪᲚᲝᲑᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ.

„ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲛᲔᲞᲐᲘᲝᲑᲐ ᲛᲝᲰᲐᲛᲔᲓ ᲐᲚ ᲤᲐᲘᲝᲓᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲓᲐ. ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲞᲢᲔᲚᲘ ᲤᲣᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲔᲠᲗ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠ ᲙᲚᲣᲑᲡ, „ᲤᲣᲚᲚᲔᲛᲡ“ ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠᲘ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲭᲘᲠᲐ.

„ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ �გᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲔᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲪᲐᲐ.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲢᲝᲜᲘ ᲑᲔᲜᲥᲡᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲡᲐᲠᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲙᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲪᲐᲐ.

1966 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲬᲚᲘᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ, 4 ᲬᲚᲘᲡᲐᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲛᲐ, ᲐᲠᲙᲐᲓᲘ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲔᲪᲕᲐᲚᲐ, ᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲚᲔᲘᲝᲜ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲘᲡᲒᲐᲜ „ᩩᲔᲚᲘᲡ“ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ.

„ᲛᲡᲣᲠᲡ ᲕᲘᲪᲝᲓᲔ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ „ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ“ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲔᲔᲭᲕᲔᲑᲐ, ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲝᲗ. ᲠᲐ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲐ ᲔᲡ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲐᲜ? Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲙᲐᲑᲠᲝᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲝᲡ“ — ᲗᲥᲕᲐ ᲑᲔᲜᲥᲡᲛᲐ.

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲛᲐᲒᲝ �გᲣᲜᲓᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ. „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ �გᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲪ ᲑᲔᲜᲥᲡᲘᲕᲘᲗ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ.

ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲕᲐ: „ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ �გᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲪ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲔᲑᲖᲔᲪ ᲒᲐᲩᲠᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲛᲐ ᲒᲐᲭᲠᲐ — ᲫᲝᲚᲐᲛ „ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ“ ᲐᲘᲮᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲔᲡ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲜᲘᲨᲣᲚᲘ, ᲫᲝᲚᲡ „ᩩᲔᲚᲡᲘᲓᲐᲜ“ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ 37 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲛᲝᲘᲧᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲩᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ. ᲐᲛᲢᲝᲛᲪ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲛᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲬᲚᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲟᲐᲛᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ, ᲮᲔᲚ-ᲤᲔᲮ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲐᲡᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲟᲐᲛᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ, ᲐᲛ ᲯᲔᲠᲖᲔ ᲙᲘ 1,3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲡ.

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲘᲡᲔᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲣᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲘᲢᲘᲧᲠᲓᲐ ᲑᲔᲑᲔᲠ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲗᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲜᲐᲕᲗᲐᲡᲣᲠᲔᲚᲔᲑᲖᲔ, ᲧᲐᲢᲐᲠᲣᲚ ᲨᲔᲛᲗᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐᲖᲔ, „ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲖᲔ“ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲛᲔᲢ ᲤᲣᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲓᲓᲐ.

ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ „ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ“? ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲫᲝᲚᲐ ᲫᲝᲠᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲐᲥ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲝᲗ.

ᲫᲝᲚᲐᲡ ᲓᲐᲛ ᲙᲘ ᲒᲐᲐᲛᲮᲘᲚᲐᲖᲔ ᲙᲘᲐ, ᲯᲐᲜᲤᲠᲐᲜᲙᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ „ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲨᲘ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲖᲔᲝ. ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ „ᲙᲐᲚᲘᲠᲘᲡ“ ᲑᲝᲡᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲘᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲫᲝᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲥᲔᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ „ᩩᲔᲚᲡᲘᲓᲐᲜ“ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲜᲠᲘᲙᲔ ᲓᲔ ᲚᲣᲙᲐᲡᲘᲪ ᲔᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲘ „ᩩᲔᲚᲡᲘᲛ“ ᲔᲠᲘᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ „ᲐᲚᲐᲕᲔᲡᲘᲓᲐᲜ“ ᲘᲜᲐᲗᲮᲝᲕᲠᲐ, ᲑᲐᲡᲙᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ „ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲝᲚᲘᲡᲒᲐᲜ“ ᲘᲧᲘᲓᲔᲡ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲔ ᲚᲣᲙᲐᲡᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ „ᩩᲔᲚᲡᲘᲨᲘ“ 31 ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ �გᲝᲚᲘ ᲒᲐᲣᲢᲣᲢᲐᲜᲘᲐ, ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲨᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ.

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲝᲑᲘᲚᲐ, ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲐ

ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ: ᲫᲝᲚᲐᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲐᲘᲡᲠᲣᲚᲐ

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ: ᲯᲐᲜᲤᲠᲐᲜᲙᲝ ᲫᲝᲚᲐ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲒᲐᲔᲧᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ B-Ს „ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲨᲘ“ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲫᲝᲚᲐ „ᩩᲔᲚᲡᲘᲨᲘ“ 1996 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ 4,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ „ᲞᲐᲠᲛᲐᲓᲐᲜ“, ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲓᲘᲔᲒᲝ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ „ᲜᲐᲞᲝᲚᲨᲘ“. „ᲡᲙᲣᲐᲓᲠᲐ ᲐᲫᲣᲠᲐᲡ“ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲛᲐ (35 ᲛᲐᲢᲩᲘ, 7 �გᲝᲚᲘ) ᲔᲥᲕᲡᲬᲚᲘᲐᲜ ᲩᲔᲚᲡᲣᲠ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲨᲘ 185 ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ 59 �გᲝᲚᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ. ᲐᲛ �გᲝᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝ





კამპორა წავიდა, სვარა მივიდა

ალბერტის პრინციფულობა

მაფიოზი კამპორა ფინანსისტმა შეცვალა

1975 წლის ნოემბერში 37 წლის ჟან ლუი კამპორა „მონაკოს“ პრეზიდენტი რომ გახდა, სამეფოში არ გაკვირვებათ. მონარქისტული ტრადიციების მონაკოში ახალგაზრდა კამპორამ სხვა კანდიდატებს მამით, შარლ კამპორათი აჯობა, რომელმაც და პრეზიდენტობა შვილს გადაულოცა.

ამბიციურმა მემკვიდრემ ორ წელიწადში გუნდი ელიტაში, პირველ დივიზიონში დააბრუნა, 1978-ში კი საფრანგეთის ჩემპიონებიც გახდნენ. მას შემდეგ „მონაკომ“ პირველობა ოთხჯერ კიდევ იზეიმა.

საქმეები მხოლოდ კლუბს კი არა, თავად ჟან ლუი კამპორასაც, რა თქმა უნდა, კარგად აეწყო. 1992-ში იგი ეროვნული კრების თავმჯდომარედ აირჩიეს და გვირგვინოსანი რენე გრიმალდის შემდეგ სამეფოში მეორე კაცი შეიქნა.

პრეზიდენტმა ცხვირი პოლიტიკაშიც ჩაყო და ასეულობით მილიონი ევროც შეაკოწიწა. ლაჟვარდოვანი სანაპიროს მაცხოვრებლებმა მას „ნათლიმამა“ შეარქვეს და იტალიურ მაფიასთან ჩახუტებაშიც დაადანაშაულეს.

ჟან ლუი კამპორამ 90-იანი წლების შუაში ისე გაიღალა, რომ ბრალდებებს ყურიდან ყურში უშვებდა, რენე გრიმალდის ტახტი კი ტაბურეტი ეგონა.

ნელ-ნელა იგი დაუკრეფავში გადავიდა, ფეხბურთელების მიყვანაგაშვებაც თავად იკისრა და აგენტივით ტრანსფერებსაც ჩარხავდა.

კამპორამ თავისი ახირებებით არაერთი მწვრთნელი გააოგნა, მათ შორის ამჟამინდელიც — დიდიე დეშანი, რომელსაც პრეზიდენტთან სიტყვაძუნწი ურთიერთობა ჰქონდა.

გაფურჩქნულ-გათავხედებულ კამპორას ხუშტურები პრინც ალბერტს მოსწყინდა და პირველად მაშინ დაუცაცხანა, კლუბის ვალების შესახებ რომ გაიგო. ერთი თვის წინ „მონაკო“ მეორე დივიზიონშიც კი დააქვეითეს. პრინცმა პრეზიდენტის შეთავაზებული ინვესტორები დაიწუნა, მაფიოზებთან საქმეს არ დავიჭერო. თვითონ მიდგა-მოდგა, ხალხი შეაწუხა და სხვა ინვესტორები ნახა, რომლებმაც 29 მილიონი ევრო გაიღეს და „მონაკო“ ელიტაში დააბრუნეს.

ჟან ლუი კამპორას პოსტზე აღარ დაედგომებოდა და სავარძლიდან გადაჯდა.

„მონაკოს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს — 46 წლის ფინანსისტი პიერ სვარა. პრინცმა ალბერტმა შარშან ივლისში იგი კლუბის ბულალტერიის მოსაწესრიგებლად მიიყვანა და ახლა პრეზიდენტად დანიშნა.

პიერ სვარა: „კანდიდატი არასოდეს ვყოფილვარ და ამაზე არც მიფიქრია, თუმც შემოთავაზებულ წინადადებას მყისვე დავთანხმდი. მე ბავშვობიდან გუნდის გულშემატკივარი ვარ და მეამაყება, რომ ასეთი პატივი მხვდა წილად.

კლუბში პრობლემები კი დაგროვდა, მაგრამ ჩვენ გვყავს საკმაოდ გამოცდილი კადრები, რომლებიც ყველაფერს მოაგვარებენ.

სავარაუდოდ, ფეხბურთელთა ჯამაგირის განახევრება მოგვიწევს. მწვრთნელთან, დიდიე დეშანთან ერთად შემადგენლობის გაძლიერებაზეც ვიზრუნებთ, ოღონდ რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვაც მოგვიწევს. მაგალითად, გალიარდო რომ გავასხვისოთ, ვფიქრობ, მას არ ეწყინება, რადგან სათადარიგოთა სკამზე მჯდომი მოთამაშისთვის ხელფასის გადახდა ბიუჯეტისთვის სასიკვდილოა.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, „მონაკო“ საკმაოდ ძლიერი გუნდია და მერვედფინალში თუ გავაღწევთ, დიდი წარმატება იქნება“.

ვაჟა ხუციშვილი

ვენგერმა მეკარე იშოვა

ოსკარ კორდობა არსენალს უდარაჯებს

მოგეხსენებათ, „არსენალი“ მეკარის ძიებაშია, რაკიღა დეივიდ სიმენმა კარიერა დაასრულა. ვინ აღარ ახსენეს, მეტწილად კი ფლავიო რომაზე, კრისტიან აბიატისა და რუშთუ რექბერზე ლაპარაკობდნენ.

სულ ტყუილი ლაპარაკი ყოფილა — რომამ „მონაკოში“ დარჩენა ამჯობინა, აბიატიმ „მილანს“ არ უღალატა, ხოლო რუშთუ „ბარსელონაში“ გადაბარგდა.

ცხადია, ვინმე ახალი მეკარე უნდა ეხსენებინათ და, აი, ინებეთ: არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ კოლუმბიელი კარის დარაჯი ოსკარ კორდობა, რომელიც წინა სეზონი იჯარით თურქულ „ბეშიქთაშში“ გაატარა.

ოსკარ კორდობა

სხვათა შორის, პენალტების აღების დიდოსტატ კორდობას შენარჩუნებაზე არც თურქები იყვნენ უარს, მაგრამ არ გაგიკვირდებათ, მეკარემ „ბეშიქთაშს“ „არსენალი“ თუ ამჯობინა.

„კონტრაქტის გაფორმებას თითქმის აღარაფერი უკლია, შესათანხმებელი მხოლოდ მცირეოდენი დეტალებიღა დარჩა და ინგლისში გავემგავზრები“ — თქვა ფრიად კმაყოფილმა კორდობამ.

„იენინგ სტანდარტის“ ცნობით კი, ტრანსფერის ღირებულება 1,5 მილიონი გირვანქაა, 33 წლის მეკარეში ეს ურიგო თანხა არაა.

არსენ ვენგერს კორდობას ყიდვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება კოლუმბიელის კონფედერაციათა თასზე თამაშის ნახვის მერე მიუღია.

ირაკლი ნინიძე

აბა, გაიწი, ძმაო

რონალდინიო გაძვირდა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „პარი სენ ჟერმენთან“ კამათობს. კამათის თემა რონალდინიოს ტრანსფერია, უფრო სწორად კი, პარიზელთა მხრიდან მისი ჩაშლის სურვილი. ირკვევა, რომ „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტს, ფრანსუა გრაილს, თავადაც აქვს მანჩესტერელთა თავმჯდომარესთან, პიტერ კინინთან საუბრის სურვილი, ოღონდ უკვე გარკვეულია, რომ მას ინგლისელთაგან 43,4 მილიონი ევროს მიღება სურს, ეს კი იმაზე ორჯერ მეტია, რის გადახდასაც მანჩესტერში ფიქრობდნენ.

„ხვალ დილით დავურეკავთ ერთმანეთს და შეხვედრას დავთქვამთ — განაცხადა გრაილმა — მინდა კინინს პირადად შევხვდე და ყველაფერი გავარკვიოთ, თორემ ამ წამისთვის ჩვენს შორის რონალდინიოს ძმა და აგენტი რობერტო ასისი დგას. „მანჩესტერ იუნაიტედზე“ სწორედ ის საუბრობს, ოღონდ ოფიციალური ქაღალდი ჩემთვის არ უჩვენებია. ვნახოთ, რა გაირკვევა უშუალო შეხვედრისას. ყოველ შემთხვევაში, ჭორი, რომ „პარი სენ ჟერმენს“ ფული არ სჭირდება, ტყუილია.“

რამდენადაც ირკვევა, რონალდინიოს ძმამ უპირველეს ყოვლისა ფეხბურთელისა და „იუნაიტედის“ პირადი საკითხები მოაგვარა და კლუბს აღუთქვა, რომ დაახლოებით 19-20 მილიონ ევროდ გაუკეთებდა ყველაფერს.

მადრიდის „რეალი“ რონალდინიოს შეძენას გაისად 35 მილიონ ევროდ აპირებს და ამ თანხის მესამედს დღესვე იხდის. მადრიდელთა ოფიციალური წერილი მაგიდაზე მიდევს, ისევე როგორც მაგიდაზე მიდევს „ბარსელონას“ ოფიციალური წინადადება, რომლის თანახმად რონალდინიოს სანაცვლოდ ფულს პლუს ფეხბურთელებს გვთავაზობენ“ — დასძინა გრაილმა, რომელსაც თავის წილ, ბრაზილიელთან 2006 წლამდე აქვს კონტრაქტი დადებული.

„პრობლემა არ არის. სულ ყველაფერი რომ ჩაიშალოს, „პარი სენ ჟერმენთან“ გვაქვს ჩინებული ხელშეკრულება“ — თქვა თავის მხრივ რობერტო ასისმა.

ბაბუნა ძუძია

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

რეკლამა სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მწვრთნელი დემოკრატიული არჩევნებით

ინგლისური მეორე დივიზიონის „ლუტონს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, ვინმე მაიკ ნიუელი. რა მოხდა მერე? ჰყავს და ჰყავდეს, „ლუტონისთანა“ გუნდები ხომ ათასობითაა



მაიკ ნიუელი

და თითოეულ მათგანს ვის დაუნიშნავენ და მოუხსნიან, რაში გვაინტერესებს.

ერთი სიტყვით, „ლუტონის“ ახალი მწვრთნელის ამბავს მხოლოდ იმიტომ გამცნობთ, რომ ის მეტად უცნაური ფორმით, გულშემატკივართა საყოველთაო გამოკითხვის გზით აირჩიეს კლუბის მწვრთნელად.

„ლუტონის“ თავმჯდომარე ჯონ ჰერნიმ პოსტიდან ჯო კინერი გაუშვა და ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, მწვრთნელის არჩევნები ინება.

თავდაპირველად ჰერნიმ გამოაცხადა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია კანდიდატურის წამოყენებაო. ერთი ამბავი ატყდა, ოხუნჯობის მოყვარულებმა ალექს ფერგიუსონის და არსენ ვენგერის კანდიდატურებიც კი წამოაყენეს. სულ სამოცდაათამდე მწვრთნელი მოგროვდა.

ამის მერე ხმის მიცემაც დაიწყო, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კლუბის სეზონური აბონემენტების მფლობელების ერთი ხმა ხუთს უდრიდა.

პირველი ეტაპის მერე ათი მწვრთნელი დარჩა, რომელთაგან ყველაზე მეტი ხმა სწორედ ჰერნის გაგდებულმა ჯო კინერმა მიიღო. მაგრამ ჰერნის ბედად, კინერმა თქვა, კი მაგრამ, მწვრთნელად არჩევას რომ მიპირებთ, მე აღარ მეკითხებითო?

ხოლო კინერის უარის გამო მწვრთნელად მაიკ ნიუელი აირჩიეს, ვინც „ჰარტპული“ მეორე დივიზიონში აღაზევა და მოხსნეს.

კოტე კეკელია

კაჭკაჭი ლი

ამ ცნობაში თავისთავად ახალი არაფერია — ლი ბოიერი „ნიუკასლ იუნაიტედში“ რომ გადადიოდა, ჯერ კიდევ მაისში გაცხადდა. ახლა მხოლოდ გარიგების დეტალები შეგვიძლია დავასახელოთ. 26 წლის ფეხბურთელმა „კაჭკაჭებთან“ 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, გასამრჯელოდ კი კვირაში 30 ათას გირვანქას მიიღებს.

„ბოიერმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, რის მერეც ოფიციალურად შეუერთდა გუნდს“ — ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ აზიელთა მოძულე ბოიერი იანვარში ასი ათას გირვანქად, ექვსი თვით, „ლიდსიდან“ „ვესტ ჰემში“ გადავიდა, „ნიუკასლში“ კი თავისუფალ აგენტად მივიდა.

ლი ბოიერი „ნიუკასლის“ მხცოვანი მენეჯერის ბობი რობსონის პირველი საზაფხულო შენაძენია.

ირაკლი ნინიძე

ინგლისური ტრანსფერები 2003

არსენალი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ბარეტი (ქოვენთრი)
სიმენი (მანჩესტერ სიტი)
ლუუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ასტონ ვილა

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ი. ტეილორი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. რაიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბირმინგემი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
მერიოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიკერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბლექბერნი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ჰ. ბერგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კორბეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გილესპი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბოლტონი

მოვიდნენ
იანაკოპულოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)

წავიდნენ
კ. არმსტრონგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბერგსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვარჰურსტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კ. ჰენდრი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ჩარლტონი

მოვიდნენ
ჰოლანდი (იფსვიჩი)
როისი (ლესტერი)

წავიდნენ
ბლომკვისტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯ. რობინსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ელ ხალეჯი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მასტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)



დევიდ სიმენი ახალ სეზონს „მანჩესტერ სიტიში“ შეხვდება

ჩელსი

მოვიდნენ
მახო (სანდერლენდი)
ამბროზიო (კიევო, იტალია)

წავიდნენ
ძოლა (კალიარი, იტალია)
ჯ. მორისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე გუი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფერერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
უოლესტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ევერტონი

მოვიდნენ
იობო (მარსელი, საფრანგეთი)

წავიდნენ
როდრიგო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ფულჰემი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
კოლინზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გოლდბეკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლიდსი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ბარნსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუკიჩი (ლევერკუზენი, გერმანია)

ლესტერი

მოვიდნენ
ჰაუი (მანჩესტერ სიტი)
ბროკერი (ბრაიტონი)
შიმეკა (ნოტინგემი)

წავიდნენ
იდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ს. ოუქსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როისი (ჩარლტონი)
სამერბი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფლაუერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლივერპული

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
არპეშადი (პორტსმუთი)
ბერგერი (პორტსმუთი)
დიომედი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰეგემი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მანჩესტერ სიტი

მოვიდნენ
სიმენი (არსენალი)
ტარნატი (ბაიერნი, გერმანია)

წავიდნენ
შმაიხელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მანჩესტერი

მოვიდნენ
ბელიონი (სანდერლენდი)

წავიდნენ
ბექემი (რეალი, ესპანეთი)
ბლანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მეი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მიდლსბრო

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
უინდასი (ბრედფორდი)
ბოკშიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რობერტსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტ. ვიდმარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ნიუკასლი

მოვიდნენ
ბოიერი (ვესტ ჰემი)

წავიდნენ
არავინ

პორტსმუთი

მოვიდნენ
ბერგერი (ლივერპული)
სტეფანოვიჩი (ვიტესი, ჰოლანდია)
შერინგემი (ტოტენჰემი)
არპეშადი (ლივერპული)

წავიდნენ
ქროუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტაილერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნაითინგეილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მოლენო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვაითი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

საუთჰემპტონი

მოვიდნენ
კენტონი (ნორვიჩი)

წავიდნენ
კ. დევისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ტოტენჰემი

მოვიდნენ
პოსტიგა (პორტუ, პორტუგალია)

წავიდნენ
შერინგემი (პორტსმუთი)
ფროინდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტელველი (ჰალი)

ვულვერჰემპტონი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ბრენჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მ. კამარა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

იტალიური ტრანსფერები 2003

ანკონა

მოვიდნენ
კარუზი (კალიარი)
ჯაკობო (მესინა)
ლუიზო (სალერნიტანა)
მონტერვინო (ნაპოლი)
მოსკარდი (ჯენოა)
მუსი (არეცო)
პეკარიზი (არეცო)
მადს იორგენსენი (ბრონდბიუ, დანია)

წავიდნენ
ბუდანი (პალერმო)
კერიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე პატრე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაფიედი (მილანი)
ლომბარდი (ინტერი)
მაგონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნდულა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პასილია (არეცო)
რობიატი (ინტერი)
სარი (მილანი)
სკარპი (ინტერი)
სკენარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტარანა (პარმა)

ბოლონია

მოვიდნენ
გამბერინი (ვერონა)
როკატი (დანდი, შოტლანდია)
მანინგერი (ტორინო)

წავიდნენ
ფალკონე (სამპდორია)
ფრარა (იუვენტუსი)
პარაბატი (რეჯინა)
სალვეტი (ვერონა)
ვანოლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ძანკი (იუვენტუსი)

ბრეშა

მოვიდნენ
ალიარდი (კიზენცა)
კარაჩოლო (პერუჯა)
კასტელაცი (კატანია)
კორეა (მარტინა)
ე. ფილიპინი (პარმა)
გონსალესი (სალერნიტანა)
გუანა (კალიარი)
მატუზალემი (პარმა)
ნიგაარდი (ექსელსიორი, ჰოლანდია)
სალგადო (ვერონა)
სტანკევიჩიუსი (კიზენცა)
ილანა (ვერონა)
ა. ლუკარელი (პალერმო)
რამონი (ტრიესტინა)

წავიდნენ
კორტელინი (ლუმეცანე)
ტონი (პალერმო)
აპია (პარმა)
ბილიკა (პალერმო)
ჯუნტი (ბეშიქთაში, თურქეთი)
გვარდიოლა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მიჩილო (კიზენცა)
სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სერიჩი (ვერონა)

ემპოლი

მოვიდნენ
აგოსტინი (სიენა)
ფოჯა (ტრევიზო)
გასპარეტო (პრატო)
ძირი (კატანია)
რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)

წავიდნენ
ალეგრეტი (კომო)
ატცორი (პალერმო)
ბორიელო (მილანი)
კაპელინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრიეკო (პარმა)
ვანუკი (პალერმო)

ინტერი

მოვიდნენ
ბრნჩიჩი (ვენეცია)
ჰელვეგი (მილანი)
კარაგუნისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
ლომბარდი (ანკონა)
ლუსიანო (კიევო)
პერალტა (რასინგი, არგენტინა)
რობიატი (ანკონა)
სკარპი (ანკონა)
ლამუში (პარმა)

წავიდნენ
ბატისტუტა (ალ არაბი, ყატარი)
სემიოლი (კიევო)
სერენა (კომო)
ვივასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორფეო (პარმა)
დავალა უმითი (ვერდერი, გერმანია)

იუვენტუსი

მოვიდნენ
ატირსონი (ფლამენგო)
კამორანეზი (ვერონა)
კარინი (სტანდარდი, ბელგია)
ფრარა (ბოლონია)
გუზმანი (ტერნანა)
ლეგროტალიე (კიევო)
მიკოლი (პერუჯა)
მორეტი (მოდენა)
რიგონი (ტრიესტინა)
მ. ვიერი (ვერონა)
ძანკი (ბოლონია)
აპია (პარმა)
მარესკა (პიაჩენცა)

წავიდნენ
არონიკა (მესინა)
ბონეფიო (მესინა)
გასტალდელო (კიევო)
ჯენტილე (მესინა)
ლავეკია (მესინა)
პარო (კიევო)
სკული (კიევო)
ძამბონი (ნაპოლი)
კ. ძენონი (სამპდორია)
ბლაზი (პარმა)
მორეტი (პარმა)
მ. ვიერი (ნაპოლი)
გასბარონი (პალერმო)

კიევო

მოვიდნენ
ბრუნო (ასკოლი)
დანჯელო (ნაპოლი)
გასტალდელო (იუვენტუსი)
ლონგო (კალიარი)
მარაცინა (რომა)
პარო (იუვენტუსი)
სკული (იუვენტუსი)
სემიოლი (ინტერი)
ვერონეზე (ვიჩენცა)
ძენკეტა (ვიჩენცა)
ამაური (მესინა)
მალაგო (ჯენოა)
სამარკო (მილანი)

წავიდნენ
ამბროზიო (ჩელსი, ინგლისი)
დ. ანდერსონი (პალერმო)
ბირჰოფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბიელანოვიჩი (კომო)
დელა მორტე (ვიჩენცა)
ჯანელო (სიენა)
გრასადონია (კალიარი)
ლეგროტალიე (იუვენტუსი)
ლუსიანო (ინტერი)
რისპი (გიოტებორგი, შვედეთი)
ლუპატელი (რომა)
დ. კამარა (მოდენა)

ლაციო

მოვიდნენ
ბარონიო (პერუჯა)
ინოჩენტი (ბარი)
კ. მანფრედინი (ოსასუნა, ესპანეთი)
მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)

წავიდნენ
კონჩეტი (პერუჯა)
ლაზეტიჩი (კომო)
მარკეჯანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლეჩე

მოვიდნენ
აბრუცეზე (ფ. ანდრია)
ბილი (ბასტია, საფრანგეთი)
ბუდელი (მილანი)
კორალო (ტარანტო)
ფრეცოლინი (ვენეცია)
მორელო (ფ. ანდრია)
ნობილე (პოჯიბონზი)
პელიკორი (ვარეზე)
სავინო (ნაპოლი)
ტესტა (გუბიო)
ვინკლაარი (სორა)

წავიდნენ
კამორანი (სალერნიტანა)
დი ვიჩინო (სალერნიტანა)
ლასპალი (ნანტი, საფრანგეთი)
ლეო (ვიტერბეზე)
ნუცაჩი (ფ. ანდრია)
პოლეკსიჩი (სუტიესკა, სერბეთი)
მ. როსი (პალერმო)



კრისტიანო ლუპატელი „რომაში" დაბრუნდა

მილანი

მოვიდნენ
ალიუ (სიენა)
ბაუ (ტრიესტინა)
ბორიელო (ემპოლი)
კაფუ (რომა)
ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
კოლონინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
გრაფიედი (ანკონა)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
რ. მასარო (პარმა)
პორკარი (პარმა)
რაბიტო (სამპდორია)
სარი (ანკონა)

წავიდნენ
დომორო (ესპანიოლი, ესპანეთი)
პასტრელო (ვერონა)
ანტონინი (სამპდორია)
ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუდელი (ლეჩე)
შამოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დომიცი (სამპდორია)
დონადელი (პარმა)
დონატი (სამპდორია)
ფავარო (პარმა)
ჰელვეგი (ინტერი)
სტეფანი (პარმა)
ლეონარდო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სამარკო (კიევო)

მოდენა

მოვიდნენ
ტალდო (კომო)
დ. კამარა (კიევო)

წავიდნენ
ჯ. კოლუჩი (ვერონა)
ფერარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მორეტი (იუვენტუსი)
კალია (კონტრაქტი დაუმთავრდა)

პარმა

მოვიდნენ
ამაური (მესინა)
აპია (ბრეშა)
ბოლანო (სამპდორია)
ბონაცოლი (რეჯინა)
დონადელი (მილანი)
ფალზინი (რეჯინა)
ფავარო (მილანი)
გრიეკო (ემპოლი)
მაჯო (ვიჩენცა)
მარკიონი (პიაჩენცა)
მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
პოჯი (ვენეცია)
სივილია (ატალანტა)
სტეფანი (მილანი)
ტარანა (ანკონა)
მორეტი (იუვენტუსი)
ბლაზი (იუვენტუსი)
მორფეო (ინტერი)

წავიდნენ
ბასო (პრატო)
დიანა (სამპდორია)
ე. ფილიპინი (ბრეშა)
რ. მასარო (მილანი)
მატუზალემი (ბრეშა)
პიერინი (რეჯინა)
პორკარი (მილანი)
ტაფარელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიტიელო (ვიჩენცა)
აპია (იუვენტუსი)
ლამუში (ინტერი)

პერუჯა

მოვიდნენ
კონჩეტი (ლაციო)
დო პრადო (კატანია)
ფილიპი (სამბენედეტეზე)
გატი (კატანია)
ჯედაფი (ალ იტიჰადი, საუდეთი)
ინოფო (აველინო)
მონაკო (კატანია)
პარიზი (რასინგი, არგენტინა)
ტერა (სორა)
დიამუტენე (ლუკეზე)

წავიდნენ
ბარონიო (ლაციო)
ბლაზი (იუვენტუსი)
კარაჩოლო (ბრეშა)
მიკოლი (იუვენტუსი)
მილანეზე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რეზაეი (ზობ ჰანი, მაროკო)
სოლიანო (ნაპოლი)
ვიალი (ვენეცია)

რეჯინა

მოვიდნენ
დელ აკუა (ჩიტადელა)
პოტეკი (სლავია, ჩეხეთი)
პიერინი (პარმა)
ტედესკო (კიზენცა)
ძიპეტი (სალერნიტანა)

წავიდნენ
ბონაცოლი (პარმა)
კარდინალე (სალერნიტანა)
დი მიკელე (უდინეზე)
ფალზინი (პარმა)

რომა

მოვიდნენ
დაკური (ლიდსი, ინგლისი)
ლანძარო (კიზენცა)
მანჩინი (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ჟეკე (ტერამო)
დაგოსტინო (ბარი)
ლუპატელი (კიევო)
რანალი (კალიარი)

წავიდნენ
ალდაირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფუზერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაფუ (მილანი)
მარაცინა (კიევო)

სამპდორია

მოვიდნენ
ანტონინი (მილანი)
დიანა (პარმა)
დომიცი (მილანი)
დონატი (მილანი)
დონი (ატალანტა)
იაკოპინო (კატანია)
ჟობ-ინიოკი (კრემონეზე)
მეკონგო-ონდოე (კრემონეზე)
პოსანტინი (კატანია)
ინაგისავა (კაშიმა, იაპონია)
კ. ძენონი (იუვენტუსი)
ფალკონე (ბოლონია)

წავიდნენ
ბოლანო (პარმა)
კაზაცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გასბარონი (პალერმო)
მიკელი (პიაჩენცა)
პაგანინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პინატო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაბიტო (მილანი)
კუჩიარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სიენა

მოვიდნენ
დელი კარი (ტორინო)
ჯანელო (კიევო)
ვორია (აველინო)
დავერსა (ტერნანა)

წავიდნენ
აგოსტინი (ემპოლი)
ალიუ (მილანი)
ფორტინი (ტრევიზო)
მანდელი (ტორინო)
მარტინელი (ტორინო)
პინგა (ტორინო)
სკალცო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტალიალატელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტირიბოკი (ტორინო)

უდინეზე

მოვიდნენ
ბედინი (კიზენცა)
დი მიკელე (რეჯინა)
გარგო (ვენეცია)
გუტიერესი (მესინა)
გ. მარტინესი (ნაპოლი)
მიკოლუჩი (პესკარა)
მუსლიმოვიჩი (ასკოლი)
ნალიტისი (აეკ, საბერძნეთი)
პაზენცა (ფოჯა)
სოზა (ხიმნასია, არგენტინა)

წავიდნენ
ბონაიუტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
			შვედეთი. XIII ტური					
			6 ივლისი					
20.00	004	ენკიოპინგი-სუნდსვალი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
20.00	005	ჰალმსტადი-იოსტერი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
20.00	006	ლანდსკრონა-იორებრო	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
			7 ივლისი					
22.00	007	ელფსბორგი-მალმიო	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
22.00	008	გიოტებორგი-აიკ	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
			ფინეთი. XI ტური					
			3 ივლისი					
20.30	011	ჰაკა-კუოპიო	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
‹	012	ჰაკა-კუოპიო 0:1	1,75	3,2	3,0			
20.30	013	იარო-ინტერი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	014	იოკერიტი-ლაპტი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.30	015	ტურკუ-ტამპერე	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
20.30	016	ჯასი-კტპ	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
21.00	017	მიუპა-პიკ	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
			ამხანაგური მატჩები					
			3 ივლისი					
04.00	037	ტრინიდადი-ვენესუელა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
			5 ივლისი					
03.05	038	ეკვადორი-ნიგერია	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
			ჩოგბურთი. უიმბლდონი					
			3 ივლისი					
					2:0	**2:1**	**1:2**	**0:2**
16.00	909	ს.უილიამსი-ენენი	1,3	2,8	1,8	3,6	5,0	5,6
16.00	910	ვ.უილიამსი-კლაისტერსი	1,45	2,3	2,3	3,3	3,8	4,2
			ინტერტოტოს თასი. II ეტაპი. I მატჩები					
			5 ივლისი					
20.00	019	პიბელა(მაკედონია)-პაშინგი(ავსტრია)	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
20.00	024	შახტიორი(ბელარუსი)-ჩიბალია(ხორვატია)	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
20.00	028	იორგრიტე(შვედეთი)-ნიცა(საფრანგეთი)	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
20.15	032	მარეკი(ბულგარეთი)-ვოლფსბურგი(გერმანია)	3,1	3,3	2,15	1,59	1,26	1,3
21.00	021	ლანია(მოლდოვა)-პარტიზანი(ალბანეთი)	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
21.00	022	კოპერი(სლოვენია)-დუბნიცა(სლოვაკეთი)	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.00	026	თუნი(შვეიცარია)-ბრნო(ჩეხეთი)	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.30	020	სლობოდა(ბოსნია)-ლიერსი(ბელგია)	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
22.30	033	ტილბურგი(ჰოლანდია)-ვიდი(შვეიცარია)	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
23.30	025	ბრეშა(იტალია)-გლეონა(რუმინეთი)	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
			6 ივლისი					
20.00	023	სტ.ტრუიდენი(ბელგია)-ტობილი(ყაზახეთი)	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
20.00	030	სინოტი(ჩეხეთი)-იუგ(სერბია)	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	031	ლიბერეცი(ჩეხეთი)-შემროკი(ირლანდია)	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
21.00	027	რასინგი(ესპანეთი)-ეტეი(უნგრეთი)	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
21.00	029	აკრატიტოსი(საბერძნეთი)-ალიანსი(ფინეთი)	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
21.00	034	ტამპერე(ფინეთი)-სუტიეტკა(სერბია)	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62

სარბიელი
სპორტული ლაბარის
CROCO BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გიგინიძესთან" (ყოფილი „დელი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	ნერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	ნმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

ფორმულა 1. საფრანგეთი. 5 ივლისი. (12.00)

4001 გამარჯვებული		საშუალი		ძაბელი		4002 უსწრ. ფიქს.
მ.შუმახერი	1,85	4101	1,15	4201	1,1	1,85
ბარიჩელო	7,0	4102	2,1	4202	1,3	6,0
რაიკონენი	5,0	4103	1,65	4203	1,25	4,6
მონტოია	5,0	4104	1,9	4204	1,3	4,8
კულტჰარდი	15,0	4105	3,5	4205	1,5	10,0
რ.შუმახერი	5,6	4106	2,0	4206	1,25	6,0
ალონსო	20,0	4107	4,4	4207	1,5	17,0
ტრული	40,0	4108	7,0	4208	2,0	35,0
ბატონი	75,0	4109	15,0	4209	2,5	75,0
ვილნევი	75,0	4110	15,0	4210	3,2	100,0
ფიზიკელა	75,0	4111	15,0	4211	3,2	100,0
პანისი	75,0	4112	15,0	4212	3,2	100,0
ვებერი	75,0	4113	15,0	4213	3,2	100,0
ფრენცენი	100,0	4114	25,0	4214	3,2	100,0
ჰაიდფელდი	100,0	4115	25,0	4215	3,2	100,0
დი მატა	100,0	4116	25,0	4216	3,2	100,0

4301 გამარჯვებული ეუნდი	
ფერარი	1,4
მაკლარენი	3,0
უილიამსი	6,0
რენო	15,0
ზაუბერი	30,0
ბარ	30,0
ტოიოტა	50,0
ჯორდანი	60,0
იაგუარი	75,0
მინარდი	100,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ძაგნიძე ახალგაზრდობას გაექცა

კავკასიის სამხრეთ კიდეზე, არაქსისპირა ნახჭევანში საცაა, დასრულდება ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი. საჩემპიონოდ გამზადებულმა ქართველმა ნანა ძაგნიძემ მეცხრე ტურში კვლავ მოიგო. ამჯერად მან მასპინძელთა იმედი აფაგ კუდავერდიევა 36-ე სვლაზე დაამარცხა და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. წააგო ნანას უახლოესმა მდევარმა, ინდუსმა ჰაკირა დრონავალმა და ახლა ქართველი მეორე ადგილზე აღზევებულ აზერბაიჯანელ ზეინაბ მამედაროვას მთელი ორი ქულით უსწრებს. ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში ძაგნიძეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად სულ რაღაც ნახევარი ქულაც ეყოფა.

ვაჟებში კვლავ აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი ლიდერობს, მეორე ადგილი კი ბელარუს სერგეი აზაროვს უჭირავს. მეთერთმეტე ტურში ესენი ყაიმზე შეთახმდნენ და მათ შორის განსხვავება კვლავაც ნახევარი ქულაა.

რაც შეეხება ჩვენს ვაჟებს, ზვიად იზორიასთან მოგების შემდეგ ლევან ფანცულაია ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ინდოელ სირუა შეკარ განგულს შეხვდა.

შავებით მოთამაშე ფანცულაიამ სადებიუტო სიცილიური დაცვა ირჩია და მესამე სვლაზევე D4-უჯრაზე მდგარი პაიკი გაცვალა. ამის შემდეგ ლევანმა მეტოქის შევიწროება პაიკებით დაიწყო, განგულმა კი მხედრები და ოფიცერი შეუშვა ფრონტზე. ბრძოლის ველზე ვითარება თანდათან დაიძაბა, მოწინააღმდეგეებმა შეტევისთვის დაიწყეს მზადება. მე-18 სვლაზე ლევანმა მხედრებით შეუტია და ფიგურების გაცვლა დაიწყო, თუმც რაღაც სწორად ვერ გათვალა და მის მეტოქეს უკეთესი პოზიცია შეექმნა.

30-ე სვლის შემდეგთ ახლა განგული გააქტიურდა, ქართველის მეფეს დაცვა ეტლებით მიუნგრ-მოუნგრია და პაიკითაც მოგებაში დარჩა. ხარისხით დაწინაურებულმა ინდუსმა ფიგურების გაცვლა დაიწყო, თუმცა ისიც შეცდა და მის მიერ წამოწყებულ გაცვლებში უფრო ლევანმა იხეირა, მხედარში ეტლს გამორჩა.

და მაინც, ისე მოხდა, ქართველმა უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა და რამდენიმე სვლაში იძულებული გახდა, ეტლი შეეწირა. ამის შემდეგ ფანცულაია პაიკების გაყვანას შეეცადა, თუმც ამ სუსტი ფიგურების დაცვა ეტლისა და ოფიცრისგან მხოლოდ საკუთარი ეტლით უხდებოდა, რასაც თავი ვერ გაართვა და საყაიმო მდგომარეობის შექმნას შეეცადა — ეტლით რამდენჯერმე მეტოქის მეფეს დაემუქრა.

76-ე სვლაზე ლევანს დაფაზე მხოლოდ მეფე და ეტლი დარჩა, განგულს კი მეფე, ეტლი და ოფიცერი. უმცირესობაში დარჩენილი ლევანის ფიგურები ბოლომდე თავდადებით იბრძოდნენ მეტოქეს და ბევრი პრობლემაც შეუქმნეს, თუმცა ამის მეტი ვეღარ შეძლეს და 101-ე ფანცულაიამ ინდოელს გამარჯვება მიულოცა.

ნანა ძაგნიძეს (დაფასთან მარჯვნივ) ნახჭევანში ტოლი არ გამოუჩნდა

ნაკლებ დაძაბული გამოდგა ზვიად იზორიასა და გერმანელი ჭაბუკის, ლეონიდ კრიცის პარტია. მეტოქეებმა ოცდაორი სვლა გააკეთეს და საბოლოოდ ყაიმით დაშორდნენ ერთმანეთს.

მესამე ქართველმა ვაჟმა ყუფარაძემ მე-40 სვლაზე დაამარცხა ინგლისელი კრაიგ ჰანდლი და ახლა ექვსი ქულით 17 ადგილზე მყოფ იზორიას ერთი ადგილით ჩამორჩება. ქართველი ვაჟებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი ლევან ფანცულაიას აქვს — 6,5 ქულით მე-14 პოზიციაზეა.

ლაშა გეგეშაძორი

ივნისის ბოლოს ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ორიოდ დღით გაინაბა. მთელი ყურადღება დრაფტზე და მის თანმდევ მოვლენებზე იყო გადატანილი, ნბა ყოველწლიური შევსებას იღებდა. აი, გადაიარა დრაფტის ციებ-ცხელებამ და ნბა-ს კლუბებიც ჩვეულ, საქმიანობაში ჩაებნენ. ვინ გენერალურ მენეჯერს ათავისუფლებს, ვინ მოთამეშეს კონტრაქტის გაგრძელებაზე იყაბულებს. ამ დღეებში ოკეანგაღმა მრავალი ჭორ-მართალი დაინერა და რამდენიმე კონტრაქტი გაფორმდა. ჩვენც მივყვეთ...

ქველი ბიჭები ამოძრავდნენ

დრაფტისშემდგომი მიდი-მოდი

სან ანტონიო დანკანს მილიონებს უმატებს

ლიგის უძვირფასესი მოთამაშე ტიმ დანკანი „სან ანტონიოსთან“ კოტრაქტს გააგრძელებს, იუწყება ტეხასური „ექსპრეს ნიუსი“. რეალურად დანკანს მოქმედი კონტრაქტი კი აკავშირებს „სფურზთან“, მაგრამ ხელშეკრულება იმგვარადაა შედგენილი, თუ ტიმი მის გაგრძელებას არ ისურვებს, ვერც ვერავინ დააძალებს.

დანკანმა 2000 წელს 3+4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა „სან ანტონიოს“ და მას აქეთ 32,6 მილიონი დოლარით გამდიდრდა. დანკანის ერთი „ჰო“ და ხელშეკრულება ოთხი წლით გახანგრძლივდება და თითო სეზონში ტიმოფეის საბანკო ანგარიშზე 13,3 მილიონი დაირიცხება. ეს ძალიან დიდი ფულია ჩვეულებრივ ვარსკვლავისთვის, მაგრამ არც ისე შთამბეჭდავი ხელფასია ბოლო ორი წლის პლანეტის საუკეთესო კალათბურთელისთვის. ეს სანანტონიოელებმაც იციან და თანახმანი არიან, თავიანთ გენიოსს სრულად ახალი, შვიდწლიანი და 122-მილიონიანი ხელშეკრულება დაუდონ.

„სან ანტონიოს“ ოფისში უკვე შეადგინეს ეს კონტრაქტი, რომელზეც ტიმ დანკანის ხელმოწერა ალბათ 16 ივლისსავე აღიბეჭდება, თავისუფალ აგენტთათვის კონტრაქტის გაფორმების პირველსავე დღეს.

ხუთმილიონიან რობერტ ჰორის ორ მილიონსაც ამადლიან

ვის შესანარჩუნებლად მილიონებს არ იშურებენ, ვისთვისაც ენანებათ ეს მილიონები... არამი იყოს შენზე ის 5,3 მილიონი დოლარი, ამ სეზონში სამქულიანების გაფუჭებაში რომ გიხდიდითო, უთხრეს ლეიკერსელებმა რობერტ ორის და კარი მიუხურეს.

33 წლის რობერტ ჰორი ერთგულად ემსახურა ლეიკერსელებს ბოლო ექვსწლიანახევრი წლის მანძილზე და მათ სამგზის გაჩემპიონობაშიც თავისი წილი დაიდო. ბოლო სეზონში კი არცთუ ურიგო სნაიპერს მიზანი წაუხდა. სპლეიოფო თამაშებში ნასროლი 38 სამქულიანიდან 36 ააცილა. და თუ სასწაული მოხდა და გაუგრძელეს, ჰორი წელიწადში ოდენ 1,4 მილიონს მიიღებს, ვეტერანთათვის დაწესებული გასამრჯელოს მინიმუმს.

ჩიკაგოს ჰიპენი გაახსენდა

დიადი „ჩიკაგოს“ წევრს, ახლა კი დაუძლურებული „ბულზის“ გენერალურ მენეჯერ ჯონ პაქსონს ძველი თანაგუნდელის, ბოლო წლებში „პორტლენდში“ მობურთალი სკოტი პიპენის გადაბირება სურს. სახელფასო ფონდში „ჩიკაგოს“ იმის მესამედი თავისუფალი თანხაც არ მოეძევება, რამდენსაც პიპენი „პორტლენდში“ იღებდა, მაგრამ პაქსონი იმედოვნებს, რომ გვარიანად მოხუცებული სკოტი მისთვის უსაყვარლეს კლუბში კარიერის დასრულებას არ იუარებს.

„პიპენს იმდენი გაუკეთებია „ჩიკაგოსთვის“, რომ ჩვენს კლუბში კარიერის დასრულება არ უნდა იუაროს — ამბობს პაქსონი — მე ვესაუბრე სკოტს და მას უარი არ უთქვამს. თუ შევთანხმდებით, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები.“

შვიდგზის მეოლსტარე პიპენს 11 სეზონი გაუტარებია „ჩიკაგოში“ და 6-ჯერ უჩემპიონია. მაგრამ როცა გუნდიდან ჯორდანი და მწვრთნელი ფილ ჯეკსონი წავიდნენ, პიპენმაც დაკრა ფეხი.

იგი უკვე 37 წლისაა და კარიერის დაისზე რამდენიმე მილიონზე უარს არ იტყოდა. ყველაფერი „პორტლენზეა“ დამოკიდებული, რომელმაც ვეტერან სკოტს ბოლო სეზონში თითქმის 20 მილიონი მიართვა. თუ „ბლეიზერები“ ჩათვლიან, რომ პიპენი კვლავაც გამოსადეგია, ანუ გვარიან ხელფასს იმსახურებს, მხოლოდ ტკბილი მოგონებების გამო სკოტი „ჩიკაგოში“ წამსვლელი არაა. მას ხომ იქ მაქსიმუმ 4,9 მილიონი ელოდება.

მილუოკის ჰარისი არ ავიწყდება

1 ივლისიდან „მილუოკი ბაქს“ ახალი გენმენეჯერი გაუძღვება, „რარირმებმა“ გუშინწინ ლარი ჰარისი ოთხი წლით დაიქირავეს. ამ პოსტიდან დათხოვნილი ერნი გრანფილდი კი „ვაშინგტონმა“ შეიფარა — კლუბის გენერალური მენეჯერის თანაშემწედ დანიშნა.

ჰარისი „მილუოკის“ გამოზრდილია. იგი „ბაქის“ ყოფილი მწვრთნელის, დელ ჰარისის შვილია და 15 წლის მანძილზე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა კლუბში. ბოლოს ლარი ჰარისი თავისი წინამორბედის, ერნი გრანფილდის თანაშემწე იყო და ბევრითი შრომით კლუბის მფლობელი ჰერბ კოლი მოხიბლა.

„ვფიქრობ, შესაძლებელია, ლარი ყველაზე ძლიერი მენეჯერი გახდეს მთელ ლიგაში. მასზე უკეთეს კანდიდატურას ვერსად ვიპოვიდი. თავისი საქმის ფრიადზე შემსრულებელი კაცია“ — კოლმა ქათინაურები არ დააკლო თავის რჩეულს.

ჰარისი საქმეს ჯერ არ შესდგომია, მაგრამ აქედანვე განუცხადებია, აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებო. „ბაქზის“ ახალგამომცხვარ გენმენეჯერს ისიც უთქვამს, რეი ალენის დაბრუნებას ვეცდებიო. ცნობისთვის: რეი ალენი „მილუოკიმ“ ბოლო სეზონის შუაში „სიეტლს“ გერი პეიტონში გაუცვალა.

ირაკლი პერტაია

ტიმ დანკანი „სან ანტონიოში“ ბედნიერია



სკოტი პიპენი „ჩიკაგოზე“ ფიქრობს

ევროპამ ზალცბურგი გაწირა და ირჩია ვანკუვერი

კანადის სიდიდით მესამე ქალაქი ვანკუვერი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს. შვიდი წლის შემდგომ მოსახდენი ამბავი გუშინ პრაღაში, სასტუმრო „ჰილტონში“ გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 115-ე კონგრესზე გადაწყდა.

მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ვანკუვერი რომ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებდა, ამას თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება და თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებიც ვარაუდობდნენ.

ვანკუვერს ორი კონკურენტი ჰყავდა — ავსტრიული ზალცბურგი და სამხრეთკორეული პიონჩანგი. ფავორიტი ვანკუვერი იყო. მეტიც, სახელდებოდა ხმათა მიახლოებითი რაოდენობა, რომელსაც ვანკუვერი მიიღებდა. ეს ციფრი 50-56 შორს მერყეობდა. ასეც მოხდა. 109 დელეგატიდან ვანკუვერის კანდიდატურას მხარი 56-მა დაუჭირა, თუმც მოლოდინის საპირისპიროდ, კანადელებმა პირველივე რაუნდში კი არა, მეორში აჯობეს პიონჩანგს, ისიც სულ რაღაც სამი ხმით. ესეც კიდევ ერთი მოულოდნელობა, კორეელებს ხომ სათვალავში არავინ აგდებდა და ვანკუვერის მთავარ მეტოქედ ზალცბურგი მიიჩნეოდა.

ბევრის ვარაუდით, ვანკუვერთან ზალცბურგს უნდა „ეჭიდავა“, მაგრამ ავსტრიელებმა პირველ რაუნდში მხოლოდ 16 ხმა დააგროვეს, პიონჩანგს 42 დელეგატმა დაუჭირა მხარი, ვანკუვერს კი 51-მა. ხმების ასეთმა გადანაწილებამ ავსტრიელები შოკში ჩააგდო. მათ დარბაზი გაწბილებულებმა დატოვეს და ევროპელ დელეგატთა შეთქმულებაზეც ალაპარაკდნენ. აი, რა თქვა ავსტრიელთა ავტორიტეტმა მოთხილამურე ჰერმან მაიერმა: „ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ზოგიერთმა დელეგატმა ყველაფერი პრეზენტაციის წინ გადაწყვიტა. მათ არცკი მოუსმენიათ ჩვენი პროგრამისთვის. სამწუხაროდ, ისინი უმრავლესობაში აღმოჩნდნენ და ზალცბურგის კანდიდატურა შეგნებულად ჩააგდეს. ვთვლი, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ევროპელმა წევრებმა გაგვწირეს.“

REUTERS პრაღიდან

ვანკუვერის დელეგაციის ბიძაკაცებმა ყმაწვილურად გაიხარეს



ვანკუვერის ხედი

საქმე ისაა, რომ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სამ ევროპულ დიდქალაქს — პარიზს, ლონდონსა და მოსკოვს სურს. თუ გუშინ ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობას ევროპულ ზალცბურგს არგუნებდნენ, მაშინ 2012 წლის ოლიმპიადის ევროპაში გამართვის პერსპექტივა მინიმუმამდე შემცირდებოდა. ჰოდა, იოლად სავარაუდოა, რომ რუსმა, ინგლისელმა და ფრანგმა დელეგატებმა ფარული კენჭისყრისას ზალცბურგი „ჩაძირეს“. სწორედ ამას გულისხმობდა მაიერიც.

ამან პიონჩანგის წისქვილზე დაასხა წყალი და კენჭისყრის წინ ვითომ განწირული სამხრეთკორეელები ფავორიტებად აქცია. კენჭისყრის დეტალებს არ მოვყვებით, მთავარი, კორეელთათვის საბედისწერო 3 ხმის ამბავი უკვე ვთქვით. უეჭველად აღსანიშნია, რომ კორეელების პოლიტფაქტორმა, 2010 წელს ჩრდილოელ თვისტომებთან ერთად საერთო ნაკრებით ვიასპარეზებთო, ნაწილობრივ გაამართლა.

კანადა კი ხარობს, ვანკუვერელებმა, რომლებიც, ცხადია, გიჟდებიან ჰოკეიზე, ლეგენდარული ჰოკეისტი უეინ გრეცკი ლამისაა გაალმერთონ. გრეცკი „ვანკუვერი 2010“-ის მთავარი პერსონა იყო და მისმა ავტორიტეტმა ბევრი რამ გადაწყვიტა.

ვანკუვერი მეორე კანადური ქალაქი იქნება, რომელსაც ზამთრის ოლიმპიადისთვის უმასპინძლია. აქამდე ეს პატივი 1988 წელს კალგარის ერგო.

ბაჩო სვანიძე

ზამთრის ოლიმპიადის ყველა მასპინძელი

შამონი (საფრანგეთი)	1924
სენტ მორიცი (შვეიცარია)	1928
ლეიკ პლესიდი (აშშ)	1932
გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია)	1936
სენტ მორიცი	1948
ოსლო (ნორვეგია)	1952
კორტინა დამპეცო (იტალია)	1956
სკვო ველი (აშშ)	1960
ინსბრუკი (ავსტრია)	1964
გრენობლი (საფრანგეთი)	1968
საპორო (იაპონია)	1972
ინსბრუკი	1976
ლეიკ პლესიდი	1980
სარაევო (იუგოსლავია)	1984
კალგარი (კანადა)	1988
ალბერვილი (საფრანგეთი)	1992
ლილეჰამერი (ნორვეგია)	1994
სოლტ ლეიკ სიტი (აშშ)	2002
ტურინი (იტალია)	2006
ვანკუვერი (კანადა)	2010

ვერ არის კარგი ამბავი

ლემიე ემზადება სეზონისთვის, რომელიც შეიძლება ჩაიშალოს



ბრაიან ლიჩი

სად არის სამართალი, თორემ ბრაიან ლიჩის გუნდიდან გაშვება იქნებოდა? რეინჯერსის 33 წლის ელიტარული მცველი მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ამ გუნდის ერთგული იყო და სწორედ ნიუ იორკში გათქვა სახელი. „ნორის ტროფის“ (ლიგაში საუკეთესო მცველის) ორგზის მფლობელი რეინჯერსის ბოლოდროინდელი ერთადერთი ტრიუმფის სულისჩამდგმელი იყო — 1994 წელს გუნდმა თასი რომ მოიგო, ლიჩი პლეი ოფის უძვირფასესი და საუკეთესო ბომბირდირი (!) გახდა. არც ამის შემდეგ შეურცხვენია თავი და იმაში, რომ რეინჯერსი ბოლო წლებში ღრმა კრიზისშია, მას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის. და აი, ასეთ კაცს გუნდის მესვეურები ედმონტონში ცვლიან, თან ვისზე, ვიღაც იუსი მარკანენზე. ვის, ამ ფინელის საწინააღმდეგო რა აქვს, მაგრამ 28 წლისა მხოლოდ მეორე მეკარეობას რომ მიაღწევს, განა ლიჩისთან მისი შედარება იქნება?! თუმც ამ გაცვლას სხვა ნიუანსებიც აქვს. ჯერ ერთი, ედმონტონი ვერ დაიტოვებს ასეთ ძვირადღირებულ მოთამაშეს და მას აუცილებლად სხვა გუნდს გადაულოცავს. მეორეც, ახლა თითოეულ გუნდს ლოკაუტის აჩრდილი სდევს. მოგეხსენებათ, ნჰლ-სა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის ახალი კონტრაქტი ჯერაც არ დადებულა და 2004-05 წლების სეზონს ჩაშლა ემუქრება. ამიტომ ბოსები ერიდებიან მაღალხელფასიან მოთამაშეებთან მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას. ამრიგად, ლიჩი თავისუფალი აგენტი ხდება და გუშინდლიდან მისი შეძენა ყველა გუნდს შეუძლია, მათ შორის... თავად რეინჯერსსაც, ოღონდ მეორედ შეძენილ მოთამაშეს უკვე კლუბი უკარნახებს თავის პირობებს. ასეთი წესებია პროფესიულ სპორტში.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ მოსალოდნელმა ლოკაუტმა უკვე დიდი კვალი დაატყო ლიგას, პირველ რიგში კი ძვირადღირებული მოთამაშეები დააზარალა. მაგალითად, დღემდე ვერ მოელაპარაკა გუნდს ახალი კონტრაქტის თაობაზე დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვი. ანაჰ ალმაც სცადა, თავისი ლიდერი პოლ კარია ახალ კონტრაქტზე დაეყოლიებინა, სადაც ნაკლები თანხა ჩაიწერებოდა, მაგრამ ჰოკეისტმა იწყინა და თავისუფალ აგენტად იქცა. ასეთივე ბედი ეწია გუნდის კიდევ ერთ წამყვან მოთამაშეს, 40 წლის ადამ ოუთსს და ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ანაჰეიმი თასის ფინალში გავიდა. სამაგიეროდ, დომინიკ ჰაშეკი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა საწადელს. დეტროიტმა, რაკი მეკარესთან ადრე გაფორმებული კონტრაქტი ამის საშუალებას აძლევდა, კიდევ ერთი წლით დაიბევა იგი (ჰაშეკი 8 მილიონ დოლარს მიიღებს). ასე რომ, გუნდს ალბათ კერტის ჯოზეფი დატოვებს. მართალია, მის კონტრაქტში გაცვლის მუხლი არ არის, მაგრამ ასეთ ვითარებაში „კუჯო“ ალბათ თვითონ მოითხოვს ტრეიდს.

ბოლოს ერთი ამბავიც, რომელიც უეჭველად გაახარებს ჰოკეის ქომაგებს. მარიო ლემიე მომავალ სეზონშიც ითამაშებს. მართალია, პიტსბურგის ცოცხალ ლეგენდას ჯერ ჯერობით ოფიციალურად არაფერი გამოუცხადებია (სავარაუდოდ, ამას ორი კვირის განმავლობაში გააკეთებს), მაგრამ ძალიან ბევრი რამ მიანიშნებს იმაზე, რომ ლემიე არ წავა. „ESPN RADIO 1250“-ის ცნობით, მარიომ აგვისტოსთვის უკვე აიღო ოჯარით ყინული. გარდა ამისა, პიტსბურგის მეკარე იოჰან ჰედბერგმაც გამოიტანა ასეთი დასკვნა იმ საუბრების შემდეგ, რომელიც მას ჰქონდა ლემიესთან გოლფის თამაშის დროს. „ყველაფერი, რასაც მარიო ამბობს თუ აკეთებს, ამას გაფიქრებინებს და თუ ასე მოხდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ექნება“ — განუცხადა ჰედბერგმა შვედურ გაზეთ „ავტონბლადეტს“.



პოლ კარია

სამველ ღარიბიან

ᲒᲐᲛᲮᲔᲚᲘᲚᲘ ᲪᲝᲓᲕᲐ: ᲠᲐᲡ ᲕᲔᲠᲩᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲔᲑᲡ

ᲪᲝᲓᲕᲐ ᲒᲐᲛᲮᲔᲚᲘᲚᲘ ᲡᲯᲝᲑᲘᲐᲝ ᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲔᲑᲖᲔ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲩᲔᲛᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲜᲔᲢᲐ ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲠᲐᲡ ᲕᲔᲠᲩᲝᲓᲘ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲣᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲜᲐᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲕᲘᲞᲝᲕᲔᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲕᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲐᲓ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲨᲚᲘᲓᲘᲗ.

ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲒᲕᲮᲓᲝᲛᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ. ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲛᲔᲚᲔᲡᲘ, ᲐᲜ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲗᲐ ᲐᲦᲠᲓᲐ-ᲓᲐᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲐᲗ.

ᲬᲘᲜᲐᲗ ᲙᲘ...

ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲣᲞᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲪ; ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲪ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲒᲐ ᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚ 65-ᲛᲓᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲝᲥᲠᲝᲡᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ, ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲐᲡ ᲗᲣ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲠᲘᲒᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔᲕᲔ ᲒᲐᲑᲡᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲗ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲚᲘᲠᲡ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲗᲑᲗ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲗᲐᲛᲝᲑᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒ ᲪᲣᲠᲕᲐᲡ ᲮᲛᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ: ᲔᲡ ᲛᲐᲗ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲘᲤᲐᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲒᲕᲔᲧᲝᲚᲔᲑᲐ.



საქართველოს მოცურავეთაგან პირველი მედლის მფლობელი პეტრე მშვენიერაძე



საქართველოს ვაჟთაგან პირველი ოლიმპიური პრიზიორი ბორის ნიკიტინი

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲫᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

საქართველოს ქალთაგან პირველი ევროპის ჩემპიონი თინათინ ლეკვეიშვილი

საქართველოს ქალთაგან მსოფლიოს ჩემპიონატის ერთადერთი პრიზიორი ირინა გერასიმოვა



საქართველოს ვაჟთაგან მსოფლიო უნივერსიადის პირველი მედალოსანი იგორ კუშპელიოვი

საქართველოში სახელმწიფოებრივ დონეზე სპორტული ცურვის განვითარება-განუვითარებლობა, ისე როგორც ბევრი სხვა რამ, მჭიდროდ დაუკავშირდა ჯერ რუსეთის იმპერიას, მერე კი საბჭოთა კავშირს, რომლის შემადგენელი ნაწილიც ჩვენი ქვეყანა იყო. და ეს მაშინ, როცა თავად რუსეთშიც კი არ იყო კაცი, რომელიც მეტ-ნაკლებად კვალიფიციურად შეძლებდა ახალბედისთვის ცურვის ანბანის ახსნას. ამიტომაც 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის მოცურავეებმა სრული კრახი განიცადეს. ამის მერე ჟურნალი „რუსკი სპორტ“ 1913 წლის პირველ ნომერში წერდა: „რუსეთში ცურვა, როგორც სპორტი, ისე ცუდადაა გავრცელებული, რომ გვგონია, არ არსებობს სპორტის სახეობა, რომელიც მას ამ მხრივ კონკურენციას გაუწევს. თუმცა, მართალია, არის შუვალოვის ცურვის სკოლა, მაგრამ იგი მთელს თვალუწვდენელ რუსეთში ერთადერთია“.

„თვალუწვდენელი რუსეთის“ იმპერიაში, სამწუხაროდ, საქართველოც იგულისხმებოდა, სადაც ცურვა ზღვის, ტბებისა და მდინარეების სანაპიროებზე მცხოვრებლებმა თუ იცოდნენ. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმული იყო ბათუმის პორტის მუშა მამედ ბედია, რომელიც კარგად ცურავდა, ყვინთავდა და ხალხი მის საარაკო თავგადასავლებზე ჰყვებოდა. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მან ბათუმიდან ფოთში გაცურა და 59 კილომეტრი დაფარა. ეს მთელი 25 კილომეტრით მეტი იყო ინგლისის ფლოტის კაპიტან მეტიუ ვების მაჩვენებელზე, რომელმაც 1875 წელს ლა-მანშის სრუტე (34,6 კმ) გადაცურა (21 საათი და 44 წუთი), რითაც სათავე დაუდო მარათონულ ცურვას.

სამწუხაროდ, მამედ ბედიას შედეგი დროის მიხედვით არ აღნუსხულა და იმ გადაცურვით არც თავად ბედიას დაუსახავს სპორტული მიზანი. ამიტომაც მის მიერ დაფარული მანძილი მსოფლიოს რეკორდად არ აღინუსხა.

პირველ მსოფლიო ომამდე ცურვა საქართველოში მხოლოდ ბათუმში იყო დანერგილი და ისიც ზაფხულობით. ამასთან — პრიმიტიულ დონეზე. თუმცა, იმხანად თვით მოსკოვშიც კი არ იყო დახურული საცურაო აუზი. იქ პირველი ასეთი 9-მეტრი დიამეტრის მრგვალი აუზები აბანოებში მოეწყო.

საქართველოში, ისე როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ცურვის შესწავლას ყურადღება სახელმწიფოებრივ დონეზე 1920-30 წლებიდან მიექცა. 1928 წელს თბილისში, 1930-34 წლებში კი ბათუმსა და სოხუმში ბუნებრივ წყალსატევებზე მოეწყო საზაფხულო საცურაო ბაზები.

1936 წელს თბილისში, მტკვრის სანაპიროზე, იქ სადაც ახლა რესტორანი „არაგვია“, აშენდა მთელს საბჭოთა კავშირში პირველი რვაბილიკიანი და 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზი. 1945 წელს აშენდა საქართველოში პირველი დახურული 25-მეტრიანი საცურაო აუზი, რომელიც „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნების ქვეშ მსოფლიო ომის მერე მოეწყო და დღესაც მოქმედებს.

1956 წელს თბილისში, ვაკეში აშენდა ზამთრის პირველი დახურული, 50-მეტრიანი საცურაო აუზი თავისი გათბობით, რასაც სხვა ღია თუ დახურული ბაზებიც მოჰყვა. ამან ხელი შეუწყო საქართველოში სპორტული ცურვის მასობრივად შესწავლის საქმეს.

საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში ცურვის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1931 წელს მშდ კომპლექსის ნორმატივების შემოღებამ, 1934-35 წლებში ბავშვთა სპორტსკოლების დაფუძნებამ, იმავე წლებში „სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის“ და „სსრკ სპორტის ოსტატის“ ნორმატივების დაწესებამ.

საქართველოში სპორტის ოსტატის წოდება პირველად თბილისელ სერგო ილინს მიენიჭა (1939), ხოლო ქალთაგან — ასევე თბილისელ ლია ფაჩულიას (1951).

იმავე წლებში საბჭოთა საქართველოში ცურვის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი რეკორდების ოფიციალურმა აღნუსხვამ. თუმცა, საქართველოს პირველი ოფიციალური რეკორდი ჯერ კიდევ 1928 წელს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აღინიშნა, როცა ბათუმელმა ნიკოლოზ პაკროვსკიმ დისტანცია 1.08,6 დაფარა, მერე კი ასეთი მიღწევები 1934 წლამდე აღარ აღნუსხულა. იმ წლებში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, რეკორდები აღინუსხებოდა და საქართველოს ჩემპიონატებიც ეწყობოდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის დღეისთვის უჩვეულო, გვერდზე ცურვაში, აგრეთვე 50 მეტრზე ყუმბარით ცურვაში, იმავე დისტანციაზე შაშხანით ცურვაში, ტანისამოსით ცურვაში, ტანისამოსითა და შაშხანით ცურვაში, 25 და 50 მეტრზე ყვინთვაში.

საქართველოს მოცურავეთათვის საუკეთესო იყო 1950-იანი წლები, როცა ხშირად ადიოდნენ საკავშირო ჩემპიონატების საპატიო კვარცხლბეკზე, სადაც ისინი 24-ჯერ აღზევდნენ, მათ შორის 11-ჯერ — უმაღლესზე.

იმავე წლებში ისინი პირველად გახდნენ ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების მედალოსნები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო შეჯიბრებათა გამარჯვებულნი თუ პრიზიორები.

ამ წარმატებებს საფუძველი ჩაუყარა თბილისელმა პეტრე მშვენიერაძემ, რომელმაც საქართველოს მოცურავეთაგან პირველმა მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის მედალი. ეს მოხდა 1948 წელს დნეპროპეტროვსკში, სადაც მშვენიერაძემ 100 მეტრი ბრასით 1.14,1 გაცურა. მან ამ სახეობაში 100 და 200 მეტრზე 1944-49 წლებში საქართველოს 11 რეკორდი დაამყარა, მერე კი მსოფლიოს ერთ-ერთი ტიტულოვანი და საუკეთესო წყალბურთელიც გახდა, ოღონდ ამ წარმატებებს უკვე მოსკოვის „დინამოში“ მიაღწია.

ქალთაგან საკავშირო ჩემპიონატის პირველ მედალს დაეუფლა თბილისელი ლია ფაჩულია, რომელმაც 1951 წელს კიევში გვერდზე ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა. იქვე საქართველოს მოცურავეთაგან სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი გახდა იმ დროს სოხუმელი, მერე თბილისელი, ბოლოს კი მოსკოველი ვლადიმერ ლავრინენკო, რომელმაც 1951 წელს კიევში 200 და 400 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა.

ქალთაგან პირველი ასეთი წარმატება თბილისელმა თინათინ ლეკვეიშვილმა 1969 წელს იზეიმა ხარკოვში, სადაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოს წარმომადგენელთაგან პირველი ოლიმპიური მედლის მფლობელი გახდა თბილისელი ბორის ნიკიტინი, ვინც 1956 წელს მელბურნში 4X200 მეტრზე ბრინჯაო მოიპოვა. მანამდე იმავე წელს ამ სახეობაში ბორის ნიკიტინი საქართველოდან მსოფლიოს პირველი რეკორდსმენი გახდა. იგი საქართველოდან იყო პირველი, ვინც ასევე ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს მოხდა 1958 წელს ბუდაპეშტში, სადაც იმავე სახეობაში იმარჯვა, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით კი მეორე იყო.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ქალთაგან პირველი ოქროს მედალოსანი გახდა თინათინ ლეკვეიშვილი (100 მეტრზე გულაღმა). იქვე მან 100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ვერცხლიც მოიპოვა.

დღემდე მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვენი მოცურავეებიდან ერთადერთმა, თბილისელმა ირინა გერასიმოვამ გამოიჩინა თავი, რომელმაც 1982 წელს 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქართველოს მოცურავეთა პირველი წარმატებები დაკავშირებული იყო ლუკა იოაკიმიდისა და შალვა მუსასტიკოვის სახელებთან, რომლებიც 30-იან წლებში თავადაც ცურავდნენ და თან სხვებსაც ავარჯიშებდნენ. მოგვიანებით 50-ანი წლებიდან მათ მხარი აუბეს ვლადიმერ სამარინმა, ალექსანდრ საფრონოვმა და მარგალიტა ტატიშვილმა, რომლებიც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები გახდნენ, მათგან პირველმა ეს წოდება კი ლუკა იოაკიმიდიმ დაიმსახურა (1966 წელს).

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲫᲕᲘᲚᲘ

REUTERS ლონდონიდან

აი, მეც მოვედი!

ლონდონი ჟუჟუნას ქალაქია

დაუპატიჟებელი წვიმა, რა თქმა უნდა, გამოჩნდა „ოლ ინგლენდ კლაბში“

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

მეოთხედფინალი

სებასტიენ გროჟანი (13, საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (10, ბრიტანეთი) 7:6 (10:8), 3:6, 6:3, 1:2 გადაიდო წვიმის გამო; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ალექსანდერ პოპი (გერმანია) 4:6, 4:6, 6:3, 6:3, 2:2 გადაიდო წვიმის გამო

წვიმა და უიმბლდონი, თქვენც მოგეხსენებათ, ძველი და განუყრელი მეგობრები არა და ნაცნობები კი არიან და ძნელად რომ, ამ ბალახოვანმა სლემტურნირმა უნალექოდ ჩაიაროს.

წლეულს წვიმამ, ამ დაუპატიჟებელმა, მაგრამ მუდამ მოსალოდნელმა სტუმარმა კარგა ხანი შეიგვიანა და სწორედ მაშინ გამოცხადდა „ოლ ინგლენდ კლაბში“, როცა ხალხმა მისი არსებობა მიივიწყა. არ მელოდითო და ისეთი ჟუჟუნით მოევლინა საჩოგბურთო სურნელით გაჟღენთილ იქაურობას, რომ ტურნირის მთავარ მსაჯს ისლა დარჩენოდა, კორტების ბრეზენტით დაფარვის ბრძანება გაეცა და არცთუ დიდი ხალისით გადმოეტანა ვაჟთა მეოთხედფინალები სადღეისოდ. ჟუჟუნა პირველად გუშინ გამოჩნდა და ჩვეული დაუდევრობით უკვე შეიტანა კორექტივები ბალახოვანი სლემტურნირის მსვლელობაში.

ლონდონის ზეცა და წვიმა კარგა ხანს ეთამაშებოდა საჩოგბურთო ლიანგს და მისი გიჟმაჟობის გამო ოთხჯერ შეწყდა მატჩები ჰენმანსა და გროსჟანს შორის და ფილიპუსისსა და პოპს შორის, ხოლო კიდევ ორი მეოთხედფინალური შეხლა, რომელთა გამართვაც დღის მეორე ნახევარში იგეგმებოდა, საერთოდ არც დაწყებულა.

წვიმა ოთხჯერ დაიწყო და სამჯერ შეწყდა, მოხალამოებულზე კი მას მუხთალი ბინდიც წამოეშველა და „უიმბლდონის“ მთავარმა რეფერიმ ალან მილზმა იმ დღის მატჩები სადღეიოდ გადმოიტანა. ეს ცვლილება ცხადია შეავიწროვებს კორტის დღევანდელ სტუმრებს, ქალ ნახევარფინალისტებს, მაგრამ ამ მართლაბრიტანულმა ამინდმა დღესაც თუ არ აურია, ქალები და ვაჟები ალბათ ჩაეტევიან დროში და თავ-თავიანთი საქმის მოთავებას მოასწრებენ.

მეოთხე სეტის მსვლელობისას შეწყდა მასპინძელ ტიმ ჰენმანსა და ფრანგ სებასტიენ გროჟანს შორის საკმაოდ დაძაბული და საინტერესო შეხვედრა. მეხუთე სეტის დაწყებამდე მიატანა მეორე მეოთხედფინალურმა — ფილიპუსის-პოპის წყვილმა, ხოლო კიდევ ორმა წყვილმა ფედერერ-შალკენმა და როდიკ-ბიორკმანმა დაწყებაც ვერ მოასწრეს.

ცხადია, წვიმისას დრო არცთუ სასიამოვნოდ გადის ტრიბუნებზე მჯდომთათვის. გალუმპული ხალხი იმაზე მარჩიელობს, როდის გადაიღებს წვიმა და როდის დაბრუნდებიან მოთამაშეები კორტზე და თუ ვინმემ ადრეულადვე არ დაიჭირა ქოლგის თადარიგი, დასველებულმა და ნერვებმოშლილმა იქნება აღარც დაუცალოს გამოდარებას და სახლს მიაშუროს.

ამის მიუხედავად ქომაგებმა ერთგვარ მშველელადაც მიიღეს ციდან მოვლენილი შხაპი, რადგან მათი ჯილა ტიმ ჰენმანი გუშინ არცთუ მარჯვედ ჩოგნაობდა და მატჩის შეწყვეტა-გადატანას ვინძლო ხეირიც დაეყარა მისთვის.

უიმბლდონს შერჩენილმა ერთადერთმა ბრიტანელმა ჰენმანმა უხეიროდ დაიწყო და პირველივე გეიმებში ორი მოწოდება აჩუქა სოლიდურად მოთამაშე გროჟანს. ექვსი გეიმის შემდეგ იგი 1:5 ჩამორჩა მეტოქეს და სწორედ აქ უშველა წვიმამ. პირველი შეწყვეტის შემდეგ ჰენმანი მხნედ დაბრუნდა კორტზე და 5:5 გათანაბრებაც შეძლო, მაგრამ მერე ჩაფლავდა, 6:5 ანგარიშზე სამი სეტპოინტი გაანიავა და ტაიბრეიკში გროჟანს ქედი მოუდრიკა.

ბრიტმა შეძლო მეორე სეტის მოგება, შემდეგ კი ისევ წააგო. მეოთხე სეტში კი წვიმამ ერთხელაც და იმ დღისთვის საბოლოოდ იხსნა მასპინძელი.

არანაკლებ დაძაბულად წარიმართა მეორე ვერდამთავრებული შეხვედრა ავსტრალიელ ფილიპუსისსა და გერმანელ პოპს შორის. ამ მატჩს ტიტანთა არა, მაგრამ გიგანტთა შერკინება კი დაერქმევა, რამეთუ პოპი უიმბლდონის გრაუნდიდან 201 სანტიმეტრს აიზომება და ფილიპუსისიც თითქმის მისხელაა.

ამათში ფავორიტად ცხადია ფილიპუსისი ითვლებოდა, მაგრამ ნაკლებცნობილმა პოპმა მეტოქეს პირველი ორი სეტი აართვა და ნახევარფინალში მოხვედრაზე სერიოზული განაცხადიც გააკეთა. მაგრამ მოუქნელმა და მალე დაღლილმა გერმანელმა ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე. შედარებით მარდმა სკადმა ის ღონიერი ეისებით ჩაჩოგნა და აქეთ-იქით სირბილში გათანგა და მომდევნო ორი სეტიც თავისთვის დაიჩემა.

გიგანტებმა, რომლებიც პირველი წყვილივით წვიმას არაერთხელ დაემალნენ გასახდელში, მეხუთე სეტის დაწყებაც მოასწრეს და თუ წვიმამ არ უმუხთლათ დღეს უეჭველად მოამთავრებენ საქმეს.

ᲙᲝᲢᲔ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ



REUTERS ლონდონიდან

მარკ ფილიპუსისი

ᲐᲛᲑᲐᲕ-ᲬᲐᲑᲐᲠᲘ

ჯერ წყალზე უნდა გაიარო

მარკ ფილიპუსისს გამარჯვების მისეული, უნიკალური რეცეპტი ჰქონია — ვინ წარმოიდგენდა და, მეყუმბარე ავსტრალიელი თურმე გადარეული მესერფინგე ყოფილა.

ის სამხრეთ კალიფორნიის ერთ-ერთ ოკეანისპირა ალაგას ცხოვრობს და ყოველ დილით, რვის ნახევრიდან ზარმაცების ხაშამდე ტალღებს ეძლევა.

„ჰო, კორტზე მეტ დროს ფიცარზე ვატარებ — ამბობს „სკადი“ — შემიძლია ალალად გითხრათ, რომ სერფინგი ყველაზე მაგრად მეხმარება.“

თქვენ კი ალბათ ჯერაც გახსოვთ — ფილიპუსისმა ამ უიმბლდონობის მეოთხე წრეში ლონდონური კოინდრიდან თავად ანდრე აგასი აოტა. ჰოდა, ყველაზე მეტი მილოცვის წერილი მას თურმე სწორედ კალიფორნიელი თანამესერფინგეებისგან მიუღია.

მაშ ასე: სანამ კორტზე გახვიდოდე, ჯერ წყალზე უნდა გაიარო. ასეთია მეეისე სკადის რეცეპტი.

ჩოგანს ტაფელი ცვლის, ᲡᲘᲛᲡ – ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ

უიმბლდონის ტიტულდამკარგველმა ლეიტონ ჰიუიტმა ხელი თავის საკრიკეტო ნიჭთა სრულყოფას მიჰყო. იმ დღეს მან ავსტრალიელ და სამხრეთაფრიკელ მოკრიკეტეთა ტრადიციულ ყოველწლიურ შეხლაში იმონაწილეცა და 13 ცდაზე 4 ბჭის აღებაც შეძლო.

მაგრამ უიმბლდონზე ჩაფლავების შემდეგ მისი უმთავრესი როლი კრიკეტოსნობაზე მეტად მაინც გულისვარდის, კიმ კლაისტერსის ქმაგობაა.

„როცა ის ტრიბუნაზეა, მეც უფრო ჯიგრიანად ვთამაშობ“ — ამბობს კიმი.

შეგახსენებთ: ფუმფულა ბელგიელი ნახევარფინალში გავიდა და იქ ვინუს უილიამსს უნდა ერკინოს.

ᲨᲐᲛᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

რუსული ჩოგბურთის მამამძუძე შამილ ტარპიშჩევი წინასწარმეტყველებს, რომ საგაისო უიმბლდონს წლეულს იქ ნაჩაუქები რომელიმე რუსგოგო მოიგებს.

ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველი შამილს დასტურ აქვს. ვინძლო, ყველას გვეოცა, როცა ქალთა უკანასკნელ 16-ეულს ერთბაშად 5 რუსგოგო შერჩა.

„თქვენ თუ გგონიათ, რომ ეს ამბავი რუსული ჩოგბურთის მწვერვალია, გაისამდე მოითმინეთ — ბაქიბუქობს ტარპიშჩევი — ჩვენი გოგონები წლეულს შავდა უილიამსებთან შედარებით მაინც სუსტები იყვნენ, მაგრამ გარწმუნებთ, ერთი წლის შემდეგ ისინი უფრო ჯანიანებიც იქნებიან და უფრო ფსიქომყარებიც. დიახ, — გაისად მათ ვეღარავინ გააჩერებს.“

ჰმ!

მანამდე კი ამ ფოტოებით დატკბით.



მარია შარაპოვა



ვერა ზვონარიოვა



ელენა დემენტიევა



ანასტასია მისკინა

უიმბლდონის ტერასებზე

აბა, რას არ ნახავ უიმბლდონის ტერასებზე. თამაშს და დიდ ბრძოლებს არც შევეხებით. წლეულს ამ მიდამოში საერთოდაც ფილმის გადაღება მიმდინარეობს, რომელშიაც კირსტენ დინსტი თამაშობს. კირსტენი ერთთავად კორტის შორიახლოსაა, ფილმი ხომ საჩოგბურთოა და „უიმბლდონი“ ჰქვია. ბრიტანეთის ცნობილ სახეთაგან აქ ყოველთვის არის ვიღაც. აი, მაგალითად, ორი მობერებული ვარსკვლავი, მომღერალი ელიფ რიჩარდი და უპოპულარულესი წამყვანი სილა ბლეკი ხითხითებენ. ენდი როდიკისა და პარადორნ შრიჩაფანის თამაშზე მისულ ფეხმძიმე გოგოს კი თავის მაისურზე სიამაყით დაუწერია, უეჭველად უიმბლდონის ჩემპიონს ვშობო. როცა წვიმს, და არ იქნება, უიმბლდონზე არ იწვიმოს, ქოლგა და წიგნი ჩვეულებრივი ამბავია, მითუმეტეს, თუ წიგნი სადამ ჰუსეინის ცხოვრებას ეხება.



REUTERS ლონდონიდან

მოხვდა

ახლა ძნელი სათქმელია, ეს როგორ გამოვიდა, მაგრამ ერთ კორეელ რეპორტიორს, რომელიც მაიამიში იქაური „ფლორიდა მარლინსისა“ და „ატლანტა ბრეივზის“ თამაშზე აჩხაკუნებდა აპარატს, თავში ატლანტელი დარენ ბრეგის მოქნეული კეტი მოხვდა. საბრალო საავადმყოფოში გააქანეს, ნახეთქი სერიოზული იყო.



REUTERS მაიამიდან

გამყიდველი ბობი

ამერიკელი ბურთაობის ძველი ვარსკვლავი ბობ სეპი უზომოდ პოპულარული კაცია იაპონიაში. კეთილი გოლიათის იმიჯი, რომელიც სეპმა იაპონურ სალლაბუცო კიკბოქსინგში გამოსვლით მოიპოვა, პირდაპირ მისწრებაა კომერსანტებისთვის. ბობის გამოსახულებით უსწრაფესად იყიდება ყველაფერი, მაღვიძარა საათით დაწყებული, ტელევიზორებითა და პიცით დამთავრებული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია პაპუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვედაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge